ლებებით იბეჭდება გაზეთ "ქომაგში". არ ვაძარბებ, ყო-
ველი ნომრის გამოსვლას მოუთმენლად ველი, ხარბად
ვკითხულობ, თანაც რამდენჯერმე როგორ სტეკიაშია ბა-
ტონი ვახუშტი, როგორ მოსდევს სიტყვას ანდა ნახეთ გო-
დერძი ჩოხელი! მისი ყოველი ახალი მოთხრობის დაბა-
დად დღესასწაულს რით არა ჰგავს? კიდევ ბევრი არ-
იან, მათი ჩამოთვლა შორს წავიკვივანდა. ერთს ვიტყვი
მხოლოდ - ასეთ ნაწარმოებებზე უნდა იზრდებოდეს თა-
ლი. დღვისი მაღლი, წინა თაობებიდანაც უმდიდრესი
ლიტერატურული მემკვიდრეობა გვაქვს, ცოდავად მიმართა
მასთან არმიხსლება.

- თქვენ კარგად იცნობთ აღმოსავლურ მწერლო-
ბას. სიტყვაჯამშულობის სიჭარბე, რაც ასე არ მოგ-
წონთ ქართულ ლიტერატურაში, არაბულისა და
სპარსულისათვის ნორმაა. მტკიცებობისა და ეპითე-
ტების სიხვეჭე იქ სხვადასხვად აღიქმება.

- ცხადია. აღმოსავლურ ენებში თავად ჩვეულებრივი,
ყოფითი საუბრებიც ხშირად ხელგანების დონეზეა აყვა-
ნილი. უბრალო მაგალითის მოვიყვან: როცა ერთი სპარ-
სული ხვდება მეორეს, მისალმების შემდეგ აუცილებლად
მეტყუაობენთ ეტყვის მორიგ ფრაზას - შენთან განშო-
რების ქარიშხალმა მონატრების ტოტები დამამიტრიაო,
ან სხვას, რაიმე ამდაგვარს. კიდევ მოგასწენთ: ირანში
ახალი ჩასული ფყავი, ქალაქს ვთავალოერებდი. დაღსერი-
ნობდი ქუჩებში ჩემთვის, მარტოდმარტო, ანთებული სი-
გარეგით ხელში. ერთი თავით დეხამდე ჩადრი გახვეუ-
ლი ქალბატონი მომიხადგოდა, მომესალმა და მითხრა:
შეილო, მაგ სიგარეტის ანთებით შენი სიცოცხლის ჩი-
რადღნას ნუ ჩაჭერიობო. კარგახანს მესაუბრა სიგარეტის
მავნებლობაზე. როგორ მსატყუოლ დარსუებს აღარ მოიხ-
მობდა, ერთ რამედ ღირდა მოსმენა! ჭარბი სიტყვაჯამშუ-
ლობა მათ ენაში ბუნებრივია, ჩვენი კი აშკარად ვერა
შეუბნის ზედმეტ ჩუქურთობს.

- წლების მანძილზე თქვენ ირანში ცხოვრება მო-
გინიათ. ცხადია, ამ ქვეყნის საფუძვლიანად გაგნო-
ბის საშუალება გქონდათ. რა იყო ის, რამაც ყველა-
ზე მეტად მოგხიბლათ უცხოეთში?

- გაბეზურებამდე ცოტა დაირჯუნული ფყავი. ტიპი-
ურ აზიურ ქვეყნად წარმოიშობდა, ჩამორჩენილ, ყრუ,
რღდა დაგომილი და, უსუფთაოდაც კი. სრულიად საპი-
რისპირო რამ ვნახე. თავივი გეოგრაფიული მდებარეობის
გამო ირანში ზამთარ-ზაფხულ სულისშემუთავივი სიტყვა.
განსაკუთრებით ზაფხულშია გაუსამილისი, მზის მხურვლე-
ლისგან ლამის ქვეც ადუღდეს. მიუხედავად ამისა, მთელ
ქვეყანაში გაზონები და სკვერები ნამდვილი სპარსული
ხალისავითი ყვავის. სამ დღში ერთხელ, როგორც ნე-
სი, შემქნარ ყვავილებს სათბურებში გამოყვანილ ახა-
ლი ნერგებით ცვლიან და ქუჩებს აღაბარებენ. მაგრამ ის,
რამაც მართლა გამაოგნა, არის სწავლისადმი დამოკიდე-



სამრთი ნოზარანაჲ სირიუს სულხანასი

ბულება. სტუდენტისათვის, მოსწავლისათვის თითქმის არ-
ადვირი არ არსებობს, წიგნს გარდა. საოცარი მასისიმ-
გებლობა და მონდომება აქეთ, რითაც სამსახუროდ, ბევ-
რი ვერ დაიკვირბის ჩვენში. ცოდავ გამოხედილი სჯობს და,
იქ სწავლის პირობებზეც სხვაგვარია. სტუდენტს ხელი მი-
უნვდება აბსოლუტურად ყველა სახის ლიტერატურაზე,
რაც სწავლის პროცესში სჭირდება. ჩვენთან? ბიუჯეტის
სეკესტრის გამო სიმბოლურ სტიპენდიებსაც ვეღარ ვა-
რიგებთ. ირანიდან ჩემი ფაკულტეტისათვის საჭირო უამ-
რავი ლიტერატურა ჩამოვიტანე, როსაც სწავლების პრო-
ცესში ვიყენებ. წარმოიდგინეთ, როცა სტუდენტს ქაერო-
ასლების გადასაღებად ვაძლევ წიგნს, მაქსიმალურად
ვზღუდვ გვერდების რაოდენობას, რადგან ეს თანებთან
არის დაკავშირებული. არ ვაძარბებ და, ზოგს წიგნს კი
არა, რვეულისა და სანერკალმის შექმნა უჭირს, ხშირად
აცდენენ კიდევ გზის ფულის უქონლობის გამო. ეს ყვე-
ლაფერი საბოლოო ჯამში სწავლების ხარისხზე მოქმე-
დებს. - ვასწავლით საშუალოდ, საშუალო დონის საცივი-
ალისტებსაც ვიღებთ. ვისაც ფინანსური შესაძლებობა
აქვს, საზღვარგარეთ მიდის სასწავლებლად. ისინი თითო-
თოილოდანი ირან, დანარჩენებს რა უფუთო?

- სტუდენტებზე უკეთესი მდგომარეობაში არც
თავად შეუძლებ-მასწავლებლები ხართ. სწავლისა თუ
სწავლების მხრივ ირანში გაცილებით უკეთესი პი-
რობები ყოფილა. არ შეგეძლოთ, იქ დარჩენილიყა-
ვით სამუშაოდ?

- მქონდა ასეთი წინადადება. თეირანის უნივერსიტეტ-
ში უნდა წამეკითხა ქრისტიანობის ისტორიის უბანი.
მაგრამ ჩავთვალე, რომ ქვა თავის ადგოლზეა მიძინე. პირ-
ტიმაც დავბრუნდი საქართველოში. მერე დავოჯახდი კი-
დეც, შეილი შემიძინა. პარიზის აღმოსავლური ენების უნი-
ვერსიტეტიდანაც მაქვს მონგევა, მაგრამ ჯერჯერობით
თავს ვიკავებ. ჩემი ლუკა ჯერ ერთი წლისაც არ არის,
არ მინდა, უცხო გარემოცვაში ამოიდგას ენა. ჯერ ქარ-
თული შეისისხლობროცს. აქ, შინ უნდა ვუკეთობ ზღაპ-
რები. მერე კი, როცა უკვე მოზრდილს კავკასიონის საპი-
რები მზრებს ვაჩვენებ, მიჯაჭვულ ამირანზე თავად უნდა
მიამბოოს მერე ენახოთ, ეგება ნავედ კიდევ.

ქაუბრა მანანა მანქანაში



საჩილი

ზაზა აგვინიძე

ლიბერატორული თავაზი

პოტიკაში "ანაფორად" წოდებულ ამ "ლიბერატორულ თამაშს" რაიმე პრეტენზია არა აქვს - უბრალოდ, თამაშია. ისე მგონია, ჩვენს დაძაბულ და ურთიერთგამეტებულ ცხოვრებაში უბრალოდ იუმორი - თვითგადარჩენის ერთგვარი ფორმაა.

"დებიუტისათვის" გთავაზობთ "ნოველებს", რომლებშიც "მგერათამაშთან" ერთად, ჩემთვის ძვირფასი ორი მწერლის გამორჩეულად თავისებური სტილის მიბაძვა ვცადა.

ავტორი

S P L E E N



ბრიგოლ რუპაძეძე.

20-იანი წლების დასაწყისი

საოცარია სევან - სიამაყე მომხბობა. სადაფისფერია საღამომით სარკე სევანისა. საამო სურნელი სწვდება სანაპიროს. სანაპიროზე სასტუმროა საუცხოო - "სევან სან-სუსით" სახელდებული. სურო სევდისმომგვრელი სამკაულია სასტუმროს სამივე სართულია. სარკმელებში სტუმართა სილუეტებია - სახვებადრული, სევენდინირო...
სატანჯველია სევდაპყრობილთათვის საერთო სიმზიარულე, სამაგიეროდ, სანაპირო სევანისა - საუცხოოა სპლინის.

სევენებ-სევენებით სეირნობს სანაპიროზე სენიორ სირაკუზ სისატურო - სიცილიელი სპეციალისტი სასანიდურ სამარხებისა.

სტენდალის სიტყვებია: "სახე სარკვაო სულისა". სწორეა სავსებით.

"საღმობანი სულისა სენთა" სერავენ სახეს სენიორი-სას.

სევდა საიდუმლო...

- სენიორ სირაკუზ?!
- საიდან სად? სენიორინა, სასწაულია, სასწაული!

სენიორინა სუსანა სუკიასოვა, სიმბოლო სიღამაზისა,

სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტია სიცილიაზე - "საიდან სად?" სიცილიიდან სევანზე სამშობლოში სტუდენტური სულნასულობა. სენიორს სწყინს სიურპრიზები?

- სიგიჟეა, სუსანა, სიურპრიზი საზღვარსგადაცდენი-

ლი...

- სიგიჟე სიყვარულის სინონიმია, სენიორ...

- სადაა საშველი სპლინისაგან, სუსანა?...

- სიყვარულშია საშველი, სენიორ, სიყვარულში...

- სიყვარული სტუდენტების სატყუარაა, სუსანა...

სეირნობს სანაპიროზე სენიორ სირაკუზ სისატურო სუსანათურთ.

"საოცარ სურათებს სახავს სევანის სანაპირო, - სიტყვაშეზოხს სირაკუზ, - სარკინოზთა სადგომები, სასანიდო-სრა-სასახლენი, სარკოვანებე, სულთანის სეფე-ქალე-ბი..."

- "სიტყვები, სიტყვები, სიტყვები..." - სერის სუსანა სარკასტულად, - "სულთანის სეფე-ქალეები, სარკინოზები..." - სიტყვების საროსკიპო. სამიოდ სიტყვა სიყვარულზე საშიში სათქმელია?!

სირაკუზს, სირცხვილნაჭამს, სიკვდილი სწადია - სამართლიანია საყვედურო.

- სიმშიდეა საჭირო, სუსან, სიმშიდე...

- სიმშიდე?! - სიცილიიდან სევანამდე სდევ სარკოვანების სპეციალისტს, სიყვარულსმონატრებული სიურპრიზს სთავაზობ, სამაგიეროდ? - "სიმშიდეო?" სარკოვანებშია სიმშიდე. საწოლი სწადია სხეულს, საწოლი! სხეულსაც, სულსაც, სუყველაფერს... საძრახისი სურვილია?!

- საბრალო, სუღელი სტუდენტი!

- საბრალო სპეციალისტი სასანიდების სამარხებისა!

სძლია საწადელმა სირაკუზის სულგრძელობას. სევანისპირა სიღა სარეცელი საღერღლაშლილ სატრფოთა... საოცარია სირაკუზის სიმშიდე...

სლუკუნებს საკინძეჩახსნილი სუსან: "სევანის სიღა საჭიორინო საჩუქარი სუღელი სტუდენტებისათვის... სადაა სიცოცხლის საზრისი?"

- სიყვარულში, სიყვარულშიო, - სირაკუზმა, - სხაპას-სუპით, საეჭოო სიჭიქართი.


- სტყუიხარო! - სხვადრედა სუსან, - სირევეწენა სიყვარულის საწაღა სიცილის საროსკიპოებში. "სიბილენე სლიბი საზაღურად სიყვარულია..."

სლუკუნებს სირაკუზ-სასონარკვეთილიც: "საკმარინო! სენტიმენტალური სენებე სიყვარულს სობენო! სიყვარულს, სულაც, სოციალური საყრდენი სჭირდებაო..."

- საცოდავი სწობი, - სისინებს სუსან, - საფლავების სპეციალისტი! "სიღაშია სავანე სიყვარულისა!" სიღაში საფლავია საძებნელი სულთმობრძავი საცოლისათვის... სქელკანიანი...

სასტუმროს სიბზლოვეს სამალავია სირაკუზის. საუკუნოვან სარკოვანეში საბლობს სასანიდების სამარხთა სპეციალისტი. საბანგადავარებულს, სასომიხილს სძლის სასანიდებეც, სევანიც, "სან-სუსის" საზოგადოებაც, სიცილიური "საცილიცე"; საჭმელ-სამედიც სძაგას... სუსტდება... საშიშია Spleen - სენი სასონარკვეთილი სულისა...

დავთარი დიდის დარბაზისა



მოთარ ჩხიძის "თეთრი დავთის" წახაპვით

დავინყებ დავთარს დიდის დარბაზისა. დავინყებ, დი-ახაცა. დავინყებ და დავამთავრებ დროულად.

დასდნენ დეპუტატები დაბალობეთისა და დაინყო დისპუტი დაფურულბელი დასახელებანუდა: "დუმი დავითი, დუმიო", - დუნდულაქემბა, - დიდი დათვიც დავიჯავსებო".

- დამჩნა დუნდულაქემბა დიდ დათვიან დამეგობრებო, - დამქუხა დურკაქემბა, დეპუტატმე დიდაყურეთიდანა, - დარჩეს დიდი დათვის დუმიში და დავკვხსანსო.

- დავკლავ დიდაყურეთელ დეგენერატსო! - დუნდულაქემბა, - დავკლავ და დამიჭირონო!

დაიძება დისპუტის დინება დიდადა. დაარღვია დიბლომატიური დუმილი დურბალი დიდა, დამფუნებელმა დაბალობეთის დემოკრატიისა: "დამშვიდით დეპუტატებო, დამშვიდდით და დადუმდითო".

- დავგომოძვრე დურბალი დიდო, დავგომოძვრე და დავგაუმნათო, - დარბაზმა, - დიხასც, დავგაუმნათებო,

- დურბალიმა, - დააქციეთ დაბალობეთი დისპუტები-თაო.

- დუბაში დეპუტატებს დიდი დივანი დაურქმევითო, - დავიკვალა დამანამა, - დისნულმა დუნდულაქისა.

- დედაშენს დავკითხე დუბაიზუდა, დედაშენსაო, - დურბალიმა, დამიწავადა.

- დაუფიქრებლობით დსცდა, დაუფიქრებლობითაო, - დამაშვიდა დურბალი დენიზამა, დეკალმა დამანასო, - დავილაღეთ დისპუტებიოთა, დურბალი დიდო, დავადგი-როთ და დავისვენოთო.

- დეპუტატებს დავეკითხოთო, - დურბალიმა, დელი-კატურმა.

- დავილაღეთო, - დეპუტატებმაცა, - დავაკანონოთ დასახელებათ და დავიშლითო.

დაკანონეს დასახელები დიდის დარბაზისა, დააპირეს დაშლია და - "დარუნდითო!" - დამცველთუხუცეს-მა.

დაუდეს დურბალისა დეპეში დიდი დათვისაგან: "დაელოდეთ დელეგაციასა დუმიხა და დარჩით დარბაზ-

შიო". დასცხა დურბალისა: "დაველოდით, დაველოდო-თო..."

- დამცირება დაბალობეთისა დუმიხს დელეგაციის დალოდინებო, - დამკვილა დედუნამა, დამოუკიდებელმა დეპუტატმა, - დავიშლით და დავკვეთო დარბაზიო!

- დამხე, დენიკონს დროინდელსაო, - დეპუტატებმა, - დავგვცოფეს, დავგვოღბეს, დავგავჯახებს დიდ დათეს და დავითესება დაბალობეთითგანო.

- დამთესველის დედამა... - დედუნამა, - დამონდით და დავგლახავდითო, დიდგორი დავაგინყადით, დედაკაცებს დამგვანებიართო!

- დავსენით დედუნასაო, - დურბალიმა, - დავაფიქ-სიროთ დამოუკიდებელი დეპუტატის დემარშიო.

დააფიქსირეს დემარში და დარჩნენ დარბაზშია. დედუნდენ დელეგაციასა დუმიხა...

დაეშო დავთებული დამცველთუხუცესი დურბალი-სთანა: "დავიღუპიო დურკაქის დობერმანმა დუმიხს დელეგაცია დაკინო! დარბიან დერეფანში, დასდეს დობერმანი და დავაგლოჯა დუნდულაქიო".

- დუმიხს დუმები დაუზარაღდაო, - დედუნამა, - დავ-ჯდეთ და დავიტიროთ დამყრობლის დებეიო.

- დეხილ დობერმანს დაბდური დეპუტატები დემებტ-ნენო, - დავიკვხესა დურბალიმა, - დავილაღე დედუნას დავკვალანებითაო.

- დავსაჯოთ დობერმანი და დამშვიდება დიდი დათ-ვიო, - დააიმედა დურბალი დამცველთუხუცესმა, დარც-ვნილმა, - დავამწყვდიოთ დოკვამესთანა, დაატერორა დელეგაცია და დამქურა დემოკრატიასაო.

- დავიჯანმდებთან დეპუტატებიო? - დურბალიმა.

- დავკანონდებთანო. დელიდალამ დასცინინ დურკაქე-სა: "დამხე, დამხე, დასიკინინბს დერეფანში დენდით დე-ბილი დობერმანიოთაო".

- დურკაქეც დავიჭიროთო?

- დურკაქეც დროებით დაუქურადიო, - დამცველთუ-ხუცესმა, - დაუშობრდება დრო დეპუტატობისა და და-ვასკუბებთ დობერმანთანაო. დავქებნით დოიხესაო.

- დავცა დაუსკუბე, დაცვაი, დურკაქე დიციდისო, - დურბალიმა, - დილით დავგლაპარაკებო, - დამქურა.

დაურუნდა დარბაზსა: "დეპუმების დავზანა დავგ-ჭირდებო. დავუსაბუთოთ დუმას დობერმანის დებილო-ბაო. დურკაქეც დასამუნათებელიო".

- დურკაქეც დავიჭიროთ და დობერმანი დავამუნათო-თო, - დენიზამა, დიდსულაქანმა.

დაიხულა დარბაზმა: "დაგვცინის დედაკაცი, დავგტო-ვოს დაუყოვნებლივო!"

დასტყვა დარბაზი დამინებულმა დენიზამა, დამშვი-დდენ დეპუტატები, დაავზანეს დეპეშები, დამატიკცეს დობერმანებისაგან დარბაზის დავის დებულბეი, დატ-ბენ და დავიანეს დამთბარსა დარბაზსა. დავაინყდათ დავქენილი დელეგაციაცა და დაბნელებული დაბალობე-თიცა.


დაბეჭდა დილით დურბალი დიდთან დაპირისპირ-ბულმა "დეილი დილაშ" - "დასასრულის დასანყისო".

"დავარწმუნდით დიდის დანანებითაო, - დასნერეს, - და-ანქარა დურკაქის დობერმანმა დაბალობეთის დემოკრა-ტიის დასასრულიო".

დასნერეს და დავიინყეს. დავიინყეს დაბალობეთე-ლებმაცა დავიდარბანი დიდის დარბაზსა.



ალექსი ბელანოვი



მე

I
 მე ვეკუთვნი 1959 წელს.
 ამას ჩემი დოკუმენტები
 და დაბადების მოწმეები ადასტურებენ.
 მაგრამ როგორც არ უნდა ჩაკულდრმავლე
 მესხიერებას -
 თავს ვერ აღვიქვამ საბი
 ოთხი ან ხუთი წლის ბავშვად.
 სამაგიეროდ, კარგად მახსოვს სხვა რამ:
 ჟანგანი ვაგონი...
 შუღამით ვიღაცის ხელს რელსებზე გადაყავხარ...
 გარშემო ხეების კენწეროები ცაში ყვინთავენ...
 ვარ სახელში,
 სადაც ჰერიდან და ნესტიანი კედლებიდან
 მუსუნი ტარაკნები წვეთავს...
 მაგრამ რას წარმოვადგენ მე იმ რეალობაში?
 ვინ ვარ - ბავშვი თუ მოხუცი?
 რად იბირება მოგონებები წყვილადში?
 ეს ყველაფერი ხომ არ მიუთითებს იმაზე,
 რომ 1959 წელი იმთავითვე
 ჩემი სიკვდილის წელი იყო.

II
 მანებიერებდა ცხოვრება და მათემატიკითა და
 ლექსებით მაპურებდა.
 მხატვრული ლიტერატურის კითხვისას აღმოვაჩინე,
 რომ წარსულის მრავალი ნაწარმოები
 სარკესავით ირეკლავდა მომავალს...
 ღამეების სათევად მთვარეზე მივიღიდი.
 იქ დავასკეენი:
 რომ პოეზიამაც უნდა გააკეთოს ისეთი აღმოჩენები,
 როგორც ფიზიკამ, მათემატიკამ, ასტრონომიამ -
 პოეზიამ ადამიანის შინაგანი სამყაროები
 უნდა აღმოაჩინოს.
 მივხვდი, რომ ცნობები სიკვდილზე უმთავრესად
 სხვებისგან შევგროვე
 და მათ მიერ სწორედ მოკვდავობის გააზრებისკენაა

ჩემი აზროვნება მიმართული.
 ესე იგი: სიკვდილი კიდევ ერთი, ადამიანის მიერ
 მოკონილი ლმერთია!
 მაგრამ რატომაც, კაცმა, რომელსაც ღმერთების
 არ მწამს,
 ადამიანური სიკვდილი უნდა ვიწამო!?

III
 დროს ვაგროვებ:
 ჩემი დღიურები და ლექსები - დოკუმენტები, მოწმობები
 და ნიშნები დროის,
 რომელიც ჩემში მიედინება
 და მხოლოდ და მხოლოდ მე მეკუთვნის.
 და ვამტკიცებ:
 ყოველი ადამიანი საკუთარ დროში ცხოვრობს.
 სწორედ ასე, ინდოელი იოგები
 გულისა და ფილტვების ნორმალური მუშაობის
 შესაფერხებლად

იმდენად ანელებენ სხეულში
 საკუთარი დროის დინებას,
 რომ მათში სიცოცხლის შეჩერების
 სრული ილუზია იქმნება.
 სწორედ ასე,
 ფილოსოფოსთა და მხატვართა ცნობიერება
 საკუთარი დროის სიერცეს მიუღ სიღრმეზე
 აკონტროლებს:
 მათი აზროვნება
 თანდათანობით ისრუტავს ათი, ასი და ათასი წლის
 ისტორიას და კულტურას,
 ინახავს ამ დროს.
 ერწყმის მას და მასში აზროვნებს,
 და შედეგად: ამ დროიდან
 საკუთარ "ერას" ქმნის.

IV
 ოდელსაც ადამიანებმა ჩემში საკუთარი თავი იცნეს
 და დამითმეს საარსებო სივრცე.
 მიწილადეს
 ზამთარი, გაზაფხული, შემოდგომა და ზაფხული
 წყალი და ჰაერი,
 პური და მუსიკა.
 ჩემში არ არის არც ერთი ძირის-ძირამდე საკუთარი აზრი,
 ჩემში არ არის არც ერთი ძირის-ძირამდე საკუთარი გრძნობა.
 ჩემი სხეული ეკუთვნის დროის ოცდაათწლიან მონაკვეთს,
 ჩემი ტვინი გაუქვნილია აღმზრდელთა აზრებითა
 და გრძნობებით,
 რომელიც დღეს ასი და ათასი წლისიანი არაა.
 წარსულმა საესტაფეტო ჯოხით გადმომი
 მსოფლიოს ჩემული აღქმა და განცდა,
 და დღეს თავად ვარ წყარო,
 რომლისგანაც სათავეს აიღებს და
 სასიცოცხლო ენერჯითი იკვებება მომავალი.
 მე ვაგავრძელებ წარსული -
 მომავალი განმგებობს მე!

V

მე ვამტკიცებ:

სიკვდილი, როგორც მარადი "არაფერი" არ არსებობს. არსებობს სიცოცხლის განვითარების კანონი, არსებობს ერთიანი ცოცხალი ორგანიზმი - კაცობრიობა, რამდენიმე მილიარდი ადამიანისგან რომ შედგება. და ყოველი ადამიანის ბუნებრივი სიკვდილი უნდა განვიხილოთ, როგორც მთელი "ორგანიზმის" განახლება და განვითარება.

მე ვამტკიცებ:

სხვა დანარჩენი გრძნობების გარდა, უნდა განვიციდეთ პატრიოტიზმის გრძნობას "კაცობრიობისადმი", რადგან დედამიწაზე სწორედ კაცობრიობაა - ჩვენი სამშობლო

სევდა

რა ხანია ჩემს სახლში აღარ მოდიან ოჩოკოჩები, კუდურები და რუხი მგლები: მათ სამულამოდ დატოვეს ჩემი სამყარო.

შევეჩვიე ამას, და დილით ადრე, როდესაც მხიარული ძაღლები ყეფენ, და მშუხარე ავტობუსები შორს მიიქჟარიან, თავს ბედნიერად ვგრძნობ.

სამაგიეროდ ახლა უკვე ყველაფერი ვიცი იმ დროის შესახებ, სადაც ყველგან და ყოველთვის თან უნდა ატარო სახელი და მამისსახელი, სადაც პატივცემული ადამიანები ცდილობენ იარონ აუჩქარებლად

და ფრთხილად, რათა აზრები არ დაეფანტოთ. სადაც, როგორც წესი, კვლებიან არა სიბერისაგან, არამედ მარტოობისგან.

* * *

სხვადასხვაგვარ ხეებს აქვთ სხვადასხვაგვარი სახელები, სხვადასხვაგვარ ღრუბლებს კი სახელები არა აქვთ: მეტისმეტად სწრაფლავალია მაიო ცხოვრება.

ეს არ ესმით მხოლოდ ბავშვებს და ღრუბლებს სახელებს არქმევენ.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბავშვები იზრდებიან და დგება შემოდგომა - და ხანგრძლივი წვიმები მოდის.

ადამიანები უჩივიან ამინდს, ამინდი კი აქ არაფერშუაშია.

* * *

ამ მოხუცს თვალები ჩამოუჭკნა და კეფიდან თმა კვამლად ასდის.

მისი ნაბიჯების ოდნავ გასაკონი შარიშური მაკონებს დაღლილი ხეების ნაბიჯების ხმას ლამულ ტყეში.

ის მოდის შორიდან: უთუოდ მე-19 საუკუნეიდან.

* * *

შუქის წყალობით მე ვიცი: რომ სიბნელეს მოცულობა აქვს; რომ ყველაფერი, რაც გაუნათებელია, სიბნელის შინაარსს წარმოადგენს. ნაბიჯებისა და ხმების მდინარება, უხილავი ქარის ხმაური, ნესტიანი ცის ხუნი, ყველაფერი ეს - სიბნელის შინაარსია.

მაგრამ როდესაც ცნობიერება კვდება, მაშინაც სიბნელე ისადგურებს. სიბნელე, რომელსაც არ გააჩნია მოცულობა და შინაარსი სიბნელე, რომელიც დროს არ ემორჩილება.

რაზე მეტყველებს ეს? რას ნიშნავს?

იქნებ იმას, რომ არსებობს ორი სიმათლე: პირველი - სამყარო არის, მეორე - სამყარო არ არის.

თარგმანა შალვა ბაქრაძემ



გია სოფერიძე



პარსკვლავი

ღამეში შენ აგირჩიე; ოქრო-ვაშლი ხარ ხილად.
 მიყვარს, რომ დილა იქნება. დარს რომ აპირებს დილა.
 ღამეა, მეტე როგორი, ღამე ჩუმი და ნაზი.
 ვარსკვლავო, შენ ხარ ღამის და დილის გამყოფი ხაზი.
 ვარსკვლავო, ჩემო ვარსკვლავო, რა ახლოს ხარ თითქო.
 ვისთვის და რისთვის ანათებ? ვისზე და რაზე ფიქრობ?
 ცხოვრობდა ერთი პოეტი... ის ხომ არა ხარ ნეტა?
 შენც იმასავით ჩურჩულებ... ხმამაღლა ვერც შენ ბედავ.
 უყვარდა ერთი გოგონა, სიცოცხლე ერქვა იმას,
 მიწაზე ისე ბრწყინავდა, ახლა რომ ცაში ბრწყინავს.
 მიყვარხარ, ჩემო ვარსკვლავო, რა ვქნა და შენზე
 ვუიქრობ:
 ამაღამ ხომ არ მიგყავარ? სარეცელს ხომ არ მიყოფ?
 ბევრი რამ ახლავს ამ ღამეს. ბევრი რამ გახლავს
 ვარსკვლავს.
 მოდი შევთანხმდეთ: უთქმელი ბევრად ჯობია ნათქვამს.

ტრიოლეტი XXIII

მე ვთვლემდი... უცებ ახლობელი სუნთქვა ვიგრძენი -
 ქარმა ლღვის ხე უცნაურად ააწრიალა.
 სულ არ მახსოვდა ინდოეთის ძველი სიბრძენი.
 მე ვთვლემდი... უცებ ახლობელი სუნთქვა ვიგრძენი
 და მითხრა დეღამ: ეს ლღვის ხე, ასე ძირძველი
 მამაშენისთვის დაურგავსო ვიღაც წინაპარს.
 მე ვთვლემდი... უცებ ახლობელი სუნთქვა ვიგრძენი -
 ქარმა ლღვის ხე უცნაურად ააწრიალა.

ტრიოლეტი XXXIII

მე მიფიქრია ჩემ ბიჭზე და ვიცი, რომ მიყვარს,
 ვიცი, ჩემ თავზე უფრო მეტად მიყვარს ეს ბიჭი.
 ჯერ პატარაა, ვერ იფარებს სახეზე ნიღაბს.
 მე მიფიქრია ჩემ ბიჭზე და ვიცი, რომ მიყვარს.
 გული დასჭირდეს? არც ვიფიქრებ, ნამდვილად დიდხანს.
 მაგრამ თვალყური? ყოველ წუთას? - აი რა მიჭირს.
 მე მიფიქრია ჩემ ბიჭზე და ვიცი, რომ მიყვარს,
 ვიცი, ჩემ თავზე უფრო მეტად მიყვარს ეს ბიჭი.

ტრიოლეტი XL

ბერძნულ თეატრს გაკუს ამ ღამეში ჩემი სოფელი;
 ცაში ათასი ვარსკვლავია, სულში - სინდისი.
 თუ დღე და ღამე არის მთელი წუთისოფელი,
 ცაში ათასი ვარსკვლავია, სულში - სინდისი.
 მთავარი გმირი თუმცა მე ვარ, მეფისტოფელი
 თავნაქინდრული გაეცალა ჩვენ სახლს ბინდის წინ.
 ბერძნულ თეატრს გაკუს ამ ღამეში ჩემი სოფელი;
 ცაში ათასი ვარსკვლავია, სულში - სინდისი.

ტრიოლეტი LI

დაღლილ-დაქანცულს მენატრება უსიზმრო ძილი,
 როცა წველიანი სინათლეზე უფრო სწრაფია.
 მსურს გაღვიძება ნეტარების უსაქმო დილით,
 ცხადისგან დაღლილს მენატრება უსიზმრო ძილი.
 ყოველ ღამეში ხიდი არის, ძაფივით წვრილი,
 ის არ გაკუს ამ ცხადს; არც კლდეა და არც წარაფია.
 დაღლილ-დაქანცულს მენატრება უსიზმრო ძილი,
 როცა წველიანი სინათლეზე უფრო სწრაფია.



პოლი თარგამ

სამოცდამათე მარშრუტის ავტობუსი ჩვენს მისვლამდე იძვრის ადგილიდან და გვეშორდება, ჩემი პატარა გოგონა ცოტა ხანს მისდევს მას და მოსახვევთან იმდებაცურებელი ჩერდება... სხვა ავტობუსს ველოდებით.

თოვა აწყობს და შაერში ბრჭყყილა მტვერი ტრიალებს. ქალაქის ჩვეულ ხმაურს სააშო სიჩუმე ცვლის, ყველაფერი თეთრია და მშვიდი. ამ რამდენიმე წლის მანძილზე, რაც პარიზში ვცხოვრობთ, პირველად თოვს ასე სხვაგანადა. ყურში ბუბიაჩემის ხმა ჩამესმის: "ანგელოზები სახლს ალაგებენ, ღრუბლებს მტვერს აცლიან და ხალიჩებს ბერტყავენ".

თიერანული შიშანი ზამთრები კბასნებდა, ელბრუსის მაღალი მწვერვალი ნათელია და კრილა ცის ქვეშ; თოვლის გამშენდი მანქანების რახრახი სახლების მანზე; ალკის ხედი ბაიის სიღრმეში, ჭალარა, ტანმაალად დედაბრებს რომ ემტავებოდნენ.

ბავშვობაში, თოვს რომ დაინყებდა, თითქოს უსასრულოდ თოვდა, ბოლო არ უჩანდა. შაბათი, კვირა, ორშაბათი, დღეებს ვითვლიდი. ათი სანტიმეტრი, ოცი სანტიმეტრი, ნახევარი მეტრი. სკოლა ერთი კვირით იკეტებოდა.

ო, რა ბედნიერება იყო! წარმოუდგენელი ბედნიერება! მთელი ერთი კვირა დილაობით ლოკინში გოგობა! მთელი კვირა თამაში ათას ერთ ბიძაშვილთან და დედადამშვილთან. მთელი ერთი კვირა არც ზედაზსუფთაღვის შიში, არც მათემბატკის ანჩხლ მანსავლებითან შეხვედრა, არც რჯული კანონი, არც საეარჯიშობების წერა, მთელი ერთი კვირა გრძელი, უშინაარსო ლექსების და კალიგრაფიის გაკვეთილების გარეშე; სკოლისა და სწავლის გარეშე; თავისუფლებისა და დროსტარების შვიდი დღე! რა სიხარული იყო თუ სტუმრები გვეყავდა, თოვლი კი გუბებს ჩაკეტავდა. ყველანი ჩვენთან რჩებოდნენ ორი-სამი დღით.

აი, ვინ იყო ჩვენი მუდმივი სტუმარი: ჩემი სიფრთხილი, კეთილი ბებიია, სულ რომ ლოცულობდა და ღმერთს ჩვენს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ბედნიერებას ევედრებოდა; ბიბიჯანი - დედაჩემის მოხუცი დეიდა, ყურში რომ არ ესმოდა და სხვა შერატნებებც მოჩლონებობდა, მე რომ ჩემს ძმამი ვეშლებოდი, ჩემი ძმა - ბიძაშვილები; ბიძაშვილი რომ მეზობელი იცნა, მეზობელი კი - მე.

ჩემი ალერსიანი დეიდა აზარი თავისი ონავარი ბავშვებით, რომლებიც პირდაპირ დერეფანში თამაშობდნენ გრძელ ვირს, გულიანამღები ნივთი-კოვლით, მიამუნებოთე მარჯვედ დაცოცავდნენ კედლებზე თუ ხეებზე და მოაფრთხილებდნენ აბა-დაბა დასრიალებდნენ.

ბიძია აბაშხანი, ამქვეყნადა ყველაზე კეთილი კბილის ექმი, ვერაკის რომ ვერ იმეტებდა კბილის ამოსიღებად. თუკი რომელიმე ჩვენგანი ატორდებოდა, მასაც მამინე თვალებში მოჭრულიანდებოდა ხოლმე.

უფროსი ბიძია, საარტილერიო ჯარების ოციცკრი, ცხენს რომ უფრთხობდა და თოვი და ზარბაზანი შიშის ხარის სცემდა. სამსახურის დაწყებისთანავე გაიხადა ოფიცრის ფორმა და მის ნაცვლად ქალის ნინსადარი აიფარა. უგემრთილეს მურაბებს ხარზავდა და შალის ქრელ-ქრელ სვიტერებს ქსოვდა.

დაბოლოს, თუბახანუმი, მსუქანი და ზანტი, საოცარი და უცნაური ამბებს რომ ყვებოდა, სულგებს და ვირებს იცნობდა, ჯადოქრობა იცოდა და ფოკუსებს გვიჩვენებდა.

ეს ადამიანები, ყველანი ჩვენთან რჩებოდნენ თოვლის დადნობამდე. ვეითვებოდი ხალხმრავალ ოთახებზე, ხალი-

შამირანის ავტობუსი



ჩაზე მივრთი დალაგებულ ლოკინებზე, ხორაგიტ საცეს მაგიდებზე. რა არ ეწყო ხოლმე: შარბათის სურები, ბროწეულის მარცვლებით საცეს ჭიქები, წარწარი კანფეტები და გემრიელი ფაშლაკა, დედა რომ აცხობდა.

რა სიამოვნება იყო, ათასი თაბერუდაშვევი სუნი რომ დატრიალებოდა ხოლმე სახლის დერეფნებში: აქ იყო ბებიანის ყელიონის სურწელი, ბიბიჯანის პალახების ნახარშის სააშო ორთქლი, ცხელ ბრინჯზე მოყრილი ზაფრანის, ძირასა და დარიჩინის, ვარდის წყლის არომატი, მოხარკული ხახვისა და გავარავრებულ ნაკვერჩხლებზე დაბრანული მწვადის ოსშივარი.

როგორ მიყვარდა გვერდით ოთახებში მყოფი უფროსების ჩურჩულსა და მოუდულ სიცოლში ჩაძინება...

გუსმენდი უცროსი ბიძის თარის წყნარ ხმას, დეიდა აზარის რუმ ლიდინს, დედაჩემის ფოსტლების ტკაპატყუას კბებებზე და ძილს ვეძლოდი. შუალამისას მეღვიძებოდა. უფროსებს არ ეძინათ, სინათლე ენთო, სამზარეულოში ერთი ამბები იყო, ქვაბები ჩხარუნობდა. ისე ვიძინებდი. ჩემი სიზმრები ქალაღის ფრანგიით მსუბუქი და ლალი იყო.

თოვამ ამ საღამოს ისევე ამანთო და ამფორიატა, როგორც ბავშვობაში. ჩემი გოგონაც აგზნებულია. ადგილზე ტრიალებს, ცეკვავს, პატარა ხელებით თოვს აგუნდავებს და შაერში ისვრის.

ერთთავად ქუჩის შუაგულისკენ გარბის, მოუთმწილად ელის სამოცდამათე მარშრუტის ავტობუსს. მისი მოუსვენრობა ჩემს ბავშვობის დროინდელ შვითვის მასწინებს, როცა ყოველ საღამოს, გაკვეთილების შემდეგ, დღეობი მივტყვებოდა ქუჩის მოსახვევს და ჩემი მეგობრის, აზო აყას მოლოდინში ნამებს ვითვლიდი...

თავს ზემოთ ვწავე, პირს ვაღებ, რომ თოვლის ფანტელები ვიგრანო ენაზე. რა გემრიელია, რა საოცარი სურწელი აქვს. თითქოს იასამანს ფურცლები ცვივა ზეცურბი რომ ბალებიდან...

მეჩვენება, რომ მიწას ვწყდები, სივრცეში მიცვურავ. მიწის ბურთში ვზივარ და უბილავი სიო წარსულში მიმატროლებს.

...ათი წლის ვარ. სკოლის გზაჯვარედინთან შამი-

საქარმთხველო
მ. რ. მ. ნ. დ. ლ.

რანის ავტობუსს ველოდები. ჩვენი ახალი სახლი ქვეყნის დასალოერში დგას, ბორცვებს გადაღმა, შიშველ მიწაზე, გარშემო სუფიერი არ ქაჭანებს. ხანდახან, ღამღამობით, ტურები კვიან. დედას ემინია, შზარულესაც ემინია - შასან აყას. ამიტომ ლოგინს პირდაპირ დერეფენში, მამას ოთახის კართან იშლის. მე მიყვარს უკავრიელ ადგილას ჩადგული ჩვენი სახლი. არ მეშინია არც წყალსაცავის, არც ბაყაყებით სავსე ჭაობის და არც სეთა დაბურული ჩრდილების, ავსულებს რომ გვიანან. ბაღის სიღრმეში, ბუის ზურქებს უკან, ძველი ზენურებისგან სახლი მოვიყე, ვერაინ მომავნებს. საქმელს აგურის ქვეშ ვინახავ. სუფთა წერის რვეულს, ნოლი რომელშიც მაქვს მიღებული, დედაჩემის შიშით მიწაში ვმარხავ. აღვის ხეები ჩემი მეგობრები არიან. ყველას თავისი სახელი აქვს, უფრო მალე დიჭები არიან. სკოლიდან რომ ვბრუნდები, ჩანათას მოვისვრი და მათ სანახავად მივბრუნე. ყველაფერს ვუყვები, რაც მოხდა.

ჩემს სახატებსაც ვთვალთვლებინებ და სპარსულის წინგნაც ნუთობავ ხმამაღლა. ზოგი ზარმაცია და ამოქნარებს, ზოგი უწესია და არ მიმეხს. ვინც ვარგად იქცევა, ვკოცნი და ჩემს საღებქ რეზინს ფოთლებზე ვაწებებ. იმათ კი, ვინც ჩემს ზურგს უკან ცუდს ლაპარაკობს, ნვეუთაქებ ხოლმე და ტოტებს თოკით ვუბამ ერთმანეთზე.

ფიორუქუშის სკოლაშდე ავტობუსი ერთ საათზე მეტ დროს ანდობებს. ჩემი ძმა უფროსია და მარტოს უშვებენ. მე კი ვალდედებული ვარ, შასან აყას ჩავვიძლი ხელი და მისი ნებართვის გარეშე ფეხი არ გადავდგავ. ეს დედაჩემის განკარგულებაა. მაგრამ მე ის ვიცივედი, როგორც მინდა. თუ შასან აყა კრინტს დაძარცვ დედასთან, ტყავს გაავაძრო. რადგანაც ვიცი, რომ საკუჭნაოს ვითომდა ვიკავებოდი გასაღები მას უდგეს პოავკის სარჩულში. ვიცი, როცა დედა სახლში არ არის, შასან აყა პემუვებით იპარავს ლობოს, პრინჯებს და ოსპის მარცვლებს და, ბაღის სიღრმეში რომ საპირფარეშოა, იმის უკან იწახავს, ყუთში. დასვენების დღეს კი ყველაფერი მათ მიქვს. ამიტომბაა, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვერჩით და ბარი ბარში ვარც.

ოთხ საათზე, როცა გაკვეთილები მთავრდება, შასან აყა მაკითხავს და გზავჯარდინებუ შამირანის ავტობუსს ველოდებით. დღეს ოთვს, თეფშისოფანს ფიფქები ცვივა. ყველაფერი გადათეთრდა. შასან აყასი კონტურებიღა ჩანს კედლის ძირას. სახე ქათქათა ღრუბლის ფითლას მიუგავს. სწორედ ისეთს, ღამ-ღამობით რომ ვხედავ ხოლმე ცაზე. ვიცი, ისინი ათასი წლის წინანდელი ადამიანები არიან. ზოგიერთს გვირგვინი ადგას, გრძელი წვერი აქვს და ცხენს მიაჭებებს. მთავარზე, თუ კარგად დააკვირდები, პატარა ბავშვს დაიხანავ, ხელები ფეხებისთვის შემოუჭევია, თავი მუხლებზე დაეყრდნია და ტირის. ჩემი ბრიყვი ძმა, რამდენსაც არ ვცდლობ, დავანახო, ვერ ხედავ.

დედას სასვე მთვარის ემინია და მოხოეს, რომ ცას არ ვუყურო. ხანდახან ცის სილურჯიდან გველუშაში გამოსცურავს ხოლმე და კვლავ მის სიღრმეში იძირება. ამას შასან აყას რომ ვეუბნები, ვყვირის, თავზე ზენარს იფარებს და ხმამაღლა ლოცულობს...

შამირანის ავტობუსი არ ჩანს. მიზარია, შუა ქუჩაში ადგესრიალზე. ხეებს ფესს ვურჯყამ, რომ თოვლი დამაცუვდეს თავზე. შასან აყას ჩემი ჩანთა და სადილის ქვა-ბა უჭირავს და კანკალებს. პირიდან ორთქლი ამოსდის. მამაჩემის ძველი ფესსაცვლები ავცია. რამდენიმე წამით დიდი აქვს. ხელბეჭთან ფესსაცვლი ცარიელია და თოვლი იფრეხა. ტყულებზე პატარა აქვს და დედაჩემის ხელთათმანები ნაშოუცვამს. ცალ-ცალი ხელთათმანი, ერთი - ტყავის, უნაბისღერი, მეორე კი - ნაქსოვი, შავი. მამა

დღესასწაულებზე განკარგულებას იძლევა, რომ ყველას ახალი პოავკი, პერანგი, წინდა, საცვილი და ფესსაცვლი უყვიონ. შასან აყა ახალ ტანსაცმელს არ იცვამს, ჩემოდანში ინახავს, რომ ზაფხულის მინურულს, სოფელში რომ წავა, თან წაიღოს, ან ყველაფერს ყიდის და ფულს თავის ოთახში ინახავს, ლუქების საკვამურში. მე ერთადერთი ვარ, ვინც იცის ეს ამბავი, მაგრამ ხელს არასდროს არ ვაძლავ. გეუვიციტო.

შორიდან ავტობუსის ხმა ისმის. შასან აყა ადგლას სწყვედა, მე სისარულით და ფორიატი შევცქერი თვით კაბინას, რწმენით რომ მოინჯვ ჩვენსკენ. ჩემთვის ვამბობ: ფარს თუ ააბიოვს, ჩავვდები, თუ არა და შემდეგს დაველოდები. შასან აყა რომც გაიყიროს, დედაჩემი მიღღვარებით გაგიჟდეს და მე შიმშილით და დაღლილობით მოვკვდებ. მინც, ეს საიდუმლოა, რომელც არაინც იცის, სრულიად არაინც. ჩემი და აზიზ აყას საიდუმლო, შასან აყამაც არაფერი იცის ამის შესახებ და ვერ გაუგია, ზოგჯერ რატომ არ ვვდები შამირანის ავტობუსში (ფარს რომ არ ანთებს, ის ავტობუსი აზიზ აყასი არ არის) და რატომ ვაფრთხივარ, რატომ არაფრად ვაგდებ მის ყვირილს და პროტესტს. რამდენჯერმე დამეპოვია, დედაშენს ვუტყვიო და მეც საკუჭნაოს გასაღები შევცხსუნე, სარჩულში რომ უდგეს. ამიტომაც აღარ მეჩრის, თავი დამაჩნეა. აზიზ აყას ის ავტობუსია, შორიდან სამჯერ რომ ანთებს ფარს. ყოველ ღამე, ძილის წინ, დედამ რომ ლოცვა მასწავლა, იმის ნაცვლად სამჯერ ვიშორებ: "აზიზ აყას ავტობუსის გარდა, არც ერთში არ ავალ", ეს პირობაა, რომელიც ჩვენ დავდეთ, საუკუნო პირობა. რა თქმა უნდა, უსიტყუო. მე ხომ ჩემს გოლით მეგობარს (რომელიც მამაჩემზე მაღალად კია და რომლის შიშისაში მომგვრელ სახეს პოლიციელებიც კი უფრთხიან) ხმასაც ვერ ვცემ. ვერ ვხედავ.

შობასტეფილი ავტობუსის ფარები ინთება და ქრება, ინთება და ქრება და ჩემი გულიც ციბრტყვით ტრიალებს. ჩერდება. ავდგავარ. შასან აყა წინ მისწრებს, აზიზ აყა მიყურებს და შემუპებული, დაწითლებული თვალებით სალაშქრ მასხსოვს. გაპოხილი, ხუჭუჭი თმები აქვს.

შასან აყა ამბობს, ექვსთვიანი აქვსო დახსიული. შავი წარბები აქვს, ხშირი უღავა კი მივლი პირს უფარავს. მე მი უკან ვდევები. შასან აყა სიღრმისკენ მიდის, სადაც უფრო თბილა. დაჯდომის ვერ ასწრებს, ის იძინებს. სულ რამდენიმე მგზავრია, ისინიც თვლივენ. სკოლიდან ჩემს სახლამდე მივლი უზგზავრობაა. მით უფრო, ზამთარში, რაცა ოთვს, უფავყო მანქანები სხლტან, გზები იკეტება. ხანდახან აზიზ აყა დაღლილია, ამოქნარებული. პირიდან მძაფრი სუნი ამოსდის, უფრო მძაფრი, ვიდრე ოთღის სხნარს აქვს, დედა რომ მისამდე ხოლმე გადავცვიფელი მუხლებზე თავბრუ მეჭევია, მუცელი მიშუპუბუებს. სარკეში მიყურებს და მეველანება, ლოყებს ბურავს, ცხვირს ატრიალებს და თვალბებს მარცხენ ბრცეს, ხელებს პირზე ვიფარებ, მგზავრებმა რომ არ გაიკოინონ ჩემი სიცილი. გულში კი მწავრად ეჭვითინებ. ჩემი მეგობარი დევე შავას, პატარებს მისი ემინია. ხელები და მკერი და მოსიერგებული ზოცს, ყურიდან კისრის ბოლომდე მსხლიო, იხსფერი ახლი გახადვს, თითქოს ვიღაცა თავის მოჭრას უპირებდა.

დედა არასდროს არ მგზავროს ავტობუსით. მიღლო შყავს და საკუთარი მანქანა, მაგრამ იცის, რომ ამქვეყნად არსებობენ აზიზ აყას მსგავსი დევები და ჩემს გამო ღლავს.

არ უნდა, რომ სკოლაში ავტობუსით ვიარო, მაგრამ ეს მამას სურულია და მას ვერვიონ გადავცა.

შასან აყას ფეხი მოურთხნას ავტობუსის სიღრმეში და ღრმად ძინავს. ჩაჭტებლი თანჯარიდან სუხსი შემოდის და მგზავრებს თოხავს. აზიზ აყა ქურთუკს იხდის და ფეხებ-

ზე მავარებს. ქურთუკს მყრალი სუნი ასდის. მინდა, მგზავრებმა დამინახონ, ხელს ამაყად ვუსვამ გაქირილ საყლოს. ჩემს ხელს უცნაური სუნ მოჰყვება. ასეთი სუნი ჩვენს სახლში არ არის, არ არის არც ბიძების და მამიდების სახლში. ეს არც კატის და ძაღლის სუნია, არც ძროხის და ცხვრის. ეს ის სუნია, უცნობი ქვეყნის ჭაჭრუტანებიდან რომ ჟონავს, იმ ცუდი საქმეების სუნია, რომელთა ჩადენაჯ არ შეიძლება, რაღაცეების სუნია, რომელთა შესახებც კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს არ უნდა ვიცოდეთ.

დედას ყველაფრისგან განსხვავებული სუნი აქვს. ეს ის სუნენია, დრანგულ სუნამოს და ფერუშარლის რომ ახლავს, კინომახიობებს და მოდის უურნალებს, ლალეზარის გამზორის და საცეკვაო სალონებს მუნიციპალურ კაფეში.

დედას მომავალი დღეების სუნი აქვს, ხვანდღელი დღის, ბევრი კარგი რაბის, რაც შემდეგ მეტყბა.

მუხლებზე ამ ქურთუკით სხვა ვიღაც ვხედები. ვიღაც, რომელიც არაა ვალდებული, ფაქიზად იაროს, ზრდილობიანად მოიქცეს, კარგად ისწავლოს და პირველი მოსწავლე იყოს; თმაზე დიდი ბაფთა გაიკეთოს და ყველასთან თავზანი იყოს; წვეულებაზე სრულიად უხვო ხალხს სკოლაში ნასწავლი ლექსი წაუკითხოს, ხეირიანად რომ არც იცის; მოყავნი ნათესაობისთვის ფორტეპიანოს პირველი გაკვეთილი დაუქრას, რაც სხვა არაფერია, თუ არა "დო, რი, მი, ფა, სოლ, ლა, სი"; მონაწილეობა მიიღოს კონკურსში "ულამაზესი ბავშვი" და ვერ გაიმარჯვოს.

მუხლებზე ამიზ აყას ქურთუკით თვითონ ამიზ აყას ვეგზავნები. მგონია, რომ მთელ ტანზე სვირინგები მატებს და ნახევარი კბილები - ოქროსი. ვხედავ, როგორ დავეხეტები ქუჩებში მარტოადმარტო და მრეცხავი ფაითიქს გოგონებვით როხობობთ ვიცინი. უზნის ულამაზეს ბიჭს ვუზვიარ საქსთან და მასთან ერთად "ტარზანის" სანახავად მიდევარ.

ამპარის გაჩერებაზე ამიზ აყაც ჩერდება. მგზავრების დიდი ნაწილი ჩაიხანაში ჩაის დასალკვად შედის. მე და შასან აყა ადგილიდან არ ვიძვრით. ჩასვლაზე ამიზ აყა ყუთიდან პატარა პაკეტს იღებს და კალთაში მიდებს. სარკვეში მიყურებს და თვალს მიკრავს. სახე ისეთი აღერსანი აქვს, ნაკვეთი ისეთი რბილი, თითქოს ნაჭრის კაცუნა იყოს. ჩემი მეგობარი ყველაზე უკეთესი დღვია ამქვეყნად. მის ხელ-ფეხს, მის უცნაურ სუნს, მის ჩანთ-ლებულ თვალებს, ძველ, გაქონილ ქურთუკს თითქოს მიციავე აღმური ახლავს, რომელიც გარს მერტყმის. თოვლის ფიფქვით ვღნები ამ ჯადოსნურ სიმშურავლეში და უნაპირო ბედნიერებას ვგრძნობ. მინდა მრავალი, მრავალი წელი ასე დავიჩქე, გაუნძრვლად, როგორც ქანდაკე-

ბა, არ გავიზარდო, არ შევიცვლო.
 დღეს ამიზ აყას ჩემთვის ალბუმის კერკი უყიდა, ავტობუსის სიღრმიდან შასან აყა მესახის, ჩემს ამავეს კითხულობს - არ ვპასუხობ. ალბუმის ვითოჯო. მგზავრებში ვხვებ მგზავრის სვამენ ჩაის. ამიზ აყა რამდენიმე ყლომ არავს სვამს პირდაპირ ბოთლიდან და მოსახლად ხეებს ვფარება. მე არ ვუყურებ. თავს ცხრი და ჩარ-ჩქარა დღევაც ალბუმს. მაგრამ მინც ვხედავ მის და ყურები მისურს.


გზას ვაგრძელებთ, ვანქის მოედანამდე ქიანჭველებივი მივლივავ. დროდადრო უკან მივსრიალებთ. სხვა მანქანებზეც ცურდებიან და ჩვენს წინ ჩერდებიან. დაღამდა, მაგრამ მთელი ქვეყანა ქათქათებს. შასან აყას ეგონია და წარამარა მესახის. ვიცო, სადაცაა ატირდება. ტირილი, თითქოს, ცხვირზე ჰკიდია და დღეში რამდენჯერმე, სრულიად არაფრის გამო ღვრის ცრემლს. დედა ირწმუნება, შასან აყას ცრემლებს მიზუხი ისევე არ სჭირდება, როგორც ქაიბის კავამოს. მამა კი ამბობს, შასან აყა ნამდვილი ვირიაო. შასან აყა იცინის, ძალიან მოხსნის ვირება. მხიარულად ალაგებს ჭურჭლებს და მამას პირში მიშტერვია. ის კი კმაყოფილი ღვეჭას მწვადის ნაჭრებს. უყვარს შასან აყას სანუღვი.

ჩემს გვერდით ფანჯარაა ჩაჭტეილი და ცალ მხარეს სიცივე მირტყამს. ესერი მიშუშდება, ზურგი მეყინება. ამიზ აყა შემოვითობ მაკვირდება სარკვეში. ავტობუსს აწერებს, ჭაბაზის ნაღვლეს და ძონძების გროვას ფანჯარაში ტყინს და კვლავ საქსთან ჯდება. მე მესმის მისი მუხურენი. ენა. ვიცო, წუსს ჩემს გამო და ურჩევია, რომ გადავჯდე. მისი თვალები, თითქოს, მეუბნებიან: "ადექი, შე ვიჯუხო გოგო, გაცვივდები, უკან გადავჯექი, იქ უფრო თბილა. მემინია, ავად არ გახდები". მეც თვალეთითვე ვპასუხობ: "არასადაც არ გადავჯდები. ის ჩემი აბიღია და ვერსად ვერ წავლა".

მომწონს, ამიზ აყა რომ დღევას. მისი შშობლიური ზრუნვა მაგრძნობინებს, რომ ვუყვარვარ. თვალებს გეუჭავ და მორუღედ დროში, დიდებული დავიშაპების სახელმწიფოში მივეგრზავრები, სადაც თავდადებული ფალანგები მგრძანებულათათვის მორჩილებისა და ერთგულების დასამტკიცებლად გაგვარებულ ნაკვერჩხლებზე ფეხშიშველი დააბიჯებდნენ და შვიდათვიან გველშაპებს ეოქებოდნენ.

ავტობუსი აღარ იძვრის. გზა ჩაიკვტა. ყინვა დეიარეშობს ყველგან. მთელი მარჯვენა მხარე გამიშუშდა. ხალხის თითები დამიძიმდა, ფეხებს ვეღარ ვგრძნობ. თავი ქვასავით დამიძიმდა, იბერება და იჩუტება, თითქოს გასახბერი იყოს. ერთიანად გაითიშე. დამიძიმებული ქუთუთებიდან თოვლით მოფარვატე ლანგებს ვხედავ. ცხვირში სიყვლეს ვგრძნობ, თვალები მწუნის. ერთიანად აღმური ამდის, მცხელა, მერე ჟრჟოლა მიპყრობს და კბილს კბილზე ვაცემინებ. უნებურად ცრემლი მდის. ამიზ აყა უხეში თითები მიმშრალავს ლლყებს და თვალთში ავიცინის. მას რომ იცნობენ, ის მოსწავლეები ამბობენ, ყველა კბილი ოქროსი აქვსო. არ მჯერა. დედას ვეკითხები. არც მან იცის, ამიზ აყას არც იცნობს. ჩემი შუკითხვა არ მოსწონს და მემუტყრება, რომ თუ ავტობუსის მძღოლეს თვალთვრებას დავუწყებ ან სხვას ვაცემ, ტყავს გამამპრობს. მისი აზრით, ოქროსი კბილები მხოლოდ ცუად აღამიანებს აქვთ. ისინი ყველანი ქურდები და მკვლელები არიან და ათას უბედურებას მოსწვენენ პატარა გოგონებს. მე არ მჯერა. გული მწყდება, რომ დედა ხანდახან ავი და მატყუარა ხდება. ამბობს, რომ დედა აზარი საქელი და უშწონა. ვნუზვიარ, რომ დედამ ბევრი რამ არ იცის. არ იცის, მაგალითად, ბევრი ქვეყნის დედაქალაქი, უბრალო მათემატიკური წესები. მაგრამ ჩემთვის ის მინც ყველაზე მამაა და ყველაზე უკეთესი დედაა მსოფ-





ლოში. ლამაზობით სინდისი მქვენნის, მინდა, დედა სა-
ნოლზე დამივადეს და გავეზომილო, მასზე ცუდ რამებს
რომ ვფიქრობ, მაგრამ იგი სულ დაკავებულია, სულ სად-
ღაც ექტარება, ჩემს მოსამყრნად არ სცალია. რომ იცო-
დეს, მამასა და მის ლაბარაკს ჩუმად რომ ვუვადებ ხოლ-
მე ყურს, მწარედ დამსვიდა.

აზიზ აყას თოვლი და ჩაკეტილი გზა ტანვავებს. ძალი-
ან ცდილობს, ცოტათი მაინც ნასწიოს წინ ავტობუსს,
მაგრამ არაფერი გამოსდის. თითქოს დაევიარებთ თეთრ
უდაბნოში. შორიდან მესხის შასან აყას ხმა ტრის, ეშე-
ნია და ხმამაღლა სლუკუნებს, მეც უცნაურად ვგრძნობ
თავს, თითქოს ავად ვხდები. მუცელი ალუბლით მაქვს
სავსე, ლებინება მინდა. ორივე ხელით ვიხუტებ აზიზ აყ-
ას ქურთუკს. თავბრუს მუხვებზე დავგობა მინდა, მაგრამ ძა-
ლა არა მაქვს. პირს ვაღებ - ხმა არ ამოვიღო. ყველგან
თოვლია, ავტობუსში, ქალაქში, მიუღ ქვეყანაზე და მე
ამ თეთრი გუმბათის ქვეშ გაყინული ვდევარ. წლებია
თითქოს, რაც ყინულის ქანდაკად ვქველვარე, მხოლოდ
თვალში მილაპლაპებს ბუხარითი და მდურღლი ცრემლი
მდის. პირი გამომიშრდა, მწარე გემოს ვგრძნობ. წყალი
მინდა, წყალი, წყალი...

...გრილი, სურნელოვანი ხელი მეფერება შუბლზე ვი-
ლაც ჩემს ყურთან ლოცვას კითხულობს და სულს მიბე-
რავს. ნაცნობი სახეები მეხვეწან, დეიდა აზარის საყვარ-
ელი, დეიდა თვალები ბრწყინავენ სინალოზე. ბიბიჯა-
ნის ნახარშის სურნელი დვას. ჩემი საბნისა და ზურნის
სითბოს ვგრძნობ. ვხედები, რომ ჩემს ლოგინში ვარ და
დედა აქვდა, ჩემთან. გული სიმშვიდით მექვება. მეძინება
და სიზმარს ვხედავ: აზიზ აყას ზურგზე ვუზივარ. მფრინ-
ავ ხალისიანად მიმავლოდეს დრობლებში შორეული,
უცნობი ქვეყნების სანახავად. როგორც მინდა, პირი გაა-
ლოს და ოქტოს კბილები დაეინახოს მაგრამ არა. პირი
მოკუმული აქვს, თითქოს თვალ-მარგალიტით სავსე სიფ-
რი იყოს.

ძალიან ავად ვარ. ექიმი ქოუსარის ყოველ შუთმბათს
მოდის ჩემს სანახავად. მახსინებს, ლამაზობით სიცხე მი-
წევს. ყოველ მოსვლაზე ახალ-ახალ ნაშებს მინიშნავს,
თანდათან უარესად ვხდები. გაეცროცე, გავჯვითლიდი, მო-
მავკვდავს ვეგარ. თმა მცვივა. სხვა ექიმი მოჰყავთ. ის
ჩემზე მეტს ახლებებს. მისი ნაშლები არც ერთ აფთიაქ-
ში არ იშოვება. დღეები, კვირები ქარივით მიჭრიან.
სკოლა, სწავლა აღარც კი მასსოვს. დღისით მიძინავს და
იღიშებ ვახვლებს. ბებია ფერხითი მიზის და ლოცვებს
ნიკითხავს. როცა ვიღვიძებ, ზღაპრებს მიყვება და კოვ-
ნით მაქვებს საჭმელს.

ფანჯრიდან ზურნის ხეების შიშველი, გაძარცვული ტო-
კები მოჩანს და ვაგაზაფხულის მოსვლამდე დღეებს ვითვ-
ლა. ყოველდღე, ოთხ საათზე, შამირანის ავტობუსს ვხე-

დავ ვხედავ, როგორ ჩაივლის სკოლის წინ, რა
სვედიანად უყურებს აზიზ აყა იმ ადგილს, სა-
დავ მე უნდა ვიჯდე. იქნებ, კიდევ დამივინყა
და ჩემთვის გადანახულ ნუგბარს სხვა გოგონას
აძლევს? ბოლმა მიპყრობს და უარესად მახე-
ვლებს. დაფეთებული დედა ექიმ ქოუსარის იძა-
ხებს. მესმის, მამა როგორ იძლევა განკარგულე-
ბას, რომ საფრანგეთში წასაყვანად მომამზადონ.

წელს გამოცდებს ვერ ჩავბარებ. ტვინი,
დეიდა აზარი კი მამშვიდებს. მეუბნება, ჯანბრ-
თელობა ყველაფერზე მნიშვნელოვანია. ოჰ, წე-
ტვე მალე დადგეს ზაფხული და ბლის ხემ ფო-
თონი და ნაყოფი მოისხას. ზაფხულობით ჩვე-
ნი სახლი ძალიან ხალხმრავალია. დიდი ნათესა-
ობა გვყავს: ათობით დეიდა, მამიდა და ბიძა,
რამდენიმე დღუფინი ბიძაშვილ-მამიდაშვილი. მამა
ნათესავებში უფროსია და ყველაზე ანგარიშს
წუნვეს. პარსკეობით ჩვენთან სადილობენ

სტუმართა უმრავლესობას დედა ლამითაც ჩვენთან ტო-
ვებს. ყველანი ერთად ვნებიან ტრასასზე. ბავშვები -
ერთ ძველწინი, უფროსები - მოშორებულ, ლავს ხეების
ძირში, ხის ტახტებზე, კოლოსგან დამცავი ბადეების ქვეშ
მამა მარტო ნებია, ფანატიტური. ფანატიტური ნაკადული
ჩამოხრია. დილამდე ჩაკვების ყურში მიმ ჩხრილია. ბე-
ბია ჩვენთან იძინებს, ბავშვებთან, და გვაპატრონობს, თი-
თოუფს თათთან ყინულიან ყავას გვივადებს, ბაღის
ქვეშ კი ერთ ბუთას იასამნის ყვავილს გვივადებს. გვთვლის,
გვეძახის, რომ დარწმუნდეს, არსად წავსვლავართ. მივადის
ღამეული ჩქამებით სავსე სიწუმე ყურს ვუვადებ მწიფე
ხილის ფეტქვას, ასლადამოწვერილი ყურსკრების მსუბუქ
სუნებებს. დაინებამდე ვარსკვლავს ვითვლი, ღრბე-
ლებს ვუყურებ, როგორ შკვანან ადამიანებს... ერთი აზ-
იზ აყას შკვავს. ზვიდან მეძახის და მეუღანება... ბჭიები
ჩურჩულენენ და ბებია თავისი ადგილიდან ნკვალს უტ-
ყავაშუნებს ვებუტებზე. უმცროსი ბიძია ისე ხვრინავს, რომ
შორიახლო მყოფ ძალებს აყევებს. ბიბიჯანი ძილში
ლაბარაკობს, თუბა ხანშიუკი დილამდე მწაურთ იტხანს
სხეულს, რობილივაც ბავშვი ერთთავად ჰპირს აუჭყვებს
და ბებია ცდილობს გაარკვიოს, ვინ არის დამნაშავე ყვე-
ლა თავს იძინარებს და სუნებებს იკრავს.

კოლოები წოიან, ვარსკვლავები ციმციმებენ, ძილი
ნელ-ნელა ბინდებს თვალებს, ხანდახან წვიმს და ბებია
წინასწარ მომზადებულ უზარმაზარ ცულოფანს გავაფარ-
რებს. მე და ჩემი ბიძაშვილი ამ საიმედო საფარქვეშ
ერთმანეთს ეკვივრით და სორნო-მეშველელი ქიანჭველე-
ბით ვუხმებთ ნვეთების ტყავა-ტყავს.

რაც ავად ვაფხვ, ჩემს ოთახში ვარ გამომწყვედილი
და ყველაფერი მეშინია. შიში უხლიავად ადამიანითაა -
ყველგან არის. ოდნავ უშეშობებს ხოლმე ვარ და, ნაშუ-
ადღევს, როცა უფროსები ჩათვლებენ, თავს დამაძვებენ.
ზოგჯერ ფანჯრის უკანაა, ხან კი დედას კალთას ამოე-
ვარები. ამ დილას სარკეში დავინახე, დამეცინება. ეს ში-
შია, სხვას რომ მიმძაფრებს. დედას აღარ სჯერა ექი-
მი ქოუსარის და მის ნაშლებს ყდის. ჩემი ექიმი ბიძა
ლამ-ლამობით ჩვენთან რჩება. შუთანმბეჭდებით არიან,
რომ ერთ საღამოს ის გამბეჭვებს ნემსს, მეორე საღამოს
კი - დედა. მამა ამბობს, ფრანგ ექიმები მცოდნენ არი-
ან და უშიშმეს ავადმყოფობასაც უცხად არჩენენო. დეი-
და აზარი ნაღვლიანად მიყურებს და იმდენს მეტყობს,
თითქოს ველარსტროს მწახადებს. შასან აყას ერთი ძვე-
ლისძველი საფოსტო ბარათი აქვს. მასზე ფუნწულა, ქე-
რათიმიანი, ხავერდას და ბაქმანში გამომწობილი ქალია
გამოსახული. შასან აყა ამბობს, ეს ქალი პარონის დედო-
ფელია, ძალიან უზნეოა, ყურანის არ სწამსო. შასან აყა
ღელავს ჩემსა და დედას გამო. ბებიას სთხოვს, ამ ურ-

ჯულიო დედოფლისგან ჩვენი გადარჩენისთვის ილოცოს დღედაღამ. დედა სიხარულით ალაგებს ჩემოდნებს. მე კი ვიცი, შიში პარიზშიც არის. ყველგან გამყვება, სადაც არ უნდა წავიდე. ბებია ერთთავად ლოცვის მივითხავ და სულს მიბერავს. თუბა ხანუმი ყოველ საღამოს ერთ ქოქა ნახარში მსამეფს. ვისერებ, ფეხებზე - ათასი ჯურის ლოცვა მექვს შებშული, ბალიშის ქვეშაც ქვეყნის პატარა, ოთხად გაკეცილი ქალაღი მილაგია.

ყოველდღე, ოთხ საათზე, კვლავ მასწავდება სკოლა, ავტობუსი, რომელიც თანდათან მიახლოვდება, მაგრამ მაშინვე, როგორც მივინწყებელი სიზმარი, თეთრ ნისლში უჩინარდება.

ყოველ საღამოს, დაძინებამდე, ისევ ვიმეორებ ჩემთვის: "აზიზ აყას ავტობუსის გარდა, არც ერთში არ ავიღო". ეს ჩვენი პირობაა და მე სამუდამოდ ამ პირობის ერთგული ვიქნები. დედოფლისა თვალღებებს ვხუჭავ და სუნთქვას ვიკრავ. გულს დოღლივით გააქვს ბაბა-ბუგი. მეჯრი, აზიზ აყა ჩემს გულისცემას გაიგონებს და მიპასუვებს.

სამ დღეში მივდივარ. ბებია ფანჯარასთან მიმჯდარა და იასამინს ფურცლებს ძაფზე აყვამს, რომ ყელსა და მავაზე შემაბნას. რა მოწყენილია ყველა... თუბა ხანუმიც კი, რომელიც ადრე სულ მანგვა-გრესში იყო, შეიცვალა. თვალღები ცრემლით ვსება და ცხვირის სახელით იწმენდა.

...ვარზე კაკუნია. ალბათ, რომელიმე ახალი ექიმია, ან - ერთ-ერთი მამიდა. ვინ აღარ მოდის ჩვენს სახაბავად, დღეში ასჯერ მაინც აკაკუნებენ ვარზე.

ჰასან აყა შემოდის და კართან ჩერდება. დაბნეული, შემტბარი უყურებს დედას. რაღაცის თქმა უნდა და ვერ ბედავს. როგორც ყოველთვის, შიშით იწყებს სლუკუნს. გარეთ უოითებს, მაგრამ ხმას ვერ იღებს.

დედა ბრზაბოს, ვეღარ ითმებს. დედა და ჰასან აყას დღეუფანში მიჰყვება. მისი ხმა მწვედა: "ვინ?"

ჰასან აყას პასუხი არ მესმის. დედა კი თანდათან უწევს ხმას და განგამის სირენა-სავით ზაფრავს ყველას.

ბებია დგება, ფანჯარას ხურავს. საბანს ნიკაპამდე მაფარებს.

ხელმოყოფედ მწვდება ყურს დედას ხმა: "ავტობუსის მძღოლი?"

გული გახეთქავაშ მექვს. ლოგინში ვვდები. ჰასან აყა პასუხად დასაკლავი ცხვარივით საწყლობად ბღავის.

დედაჩემის კივილი თავში მირტყამს: "ვინ? რა? რო-მელი ავტობუსი?"

ცოცხალ-მკვდარი ჰასან-აყა გამტყანარებული ლულულუღებს. ყურში დედას ნივილ-კივილი ჩამებს. სანტერესოა, როგორ ბედავს ვილაც უბადრუკი მძღოლი მისი ქალიშვილის მისოკითხად მოსვლას? ჰასან აყას აგზავნის მისთვის გადასაცემად, რომ, თუ კიდევ გაბედავს ამ მზარემ ტამოჩინას, ფეხებს მოამტკრევეს.

საბანს შორს ვისვრი, ლოგინიდან ვხტები და ფეხშიშველი, თხელი ლამის პერანგით გავრბივარ დერეფანში. თუბა ხანუმი ცდილობს, შემაჩეროს. ხელს ვკრავ და ვკაბენ. დედა, ჩემი უცნაური ქვევით გაოცებული, ლოგინში დაბრუნებას მიბრძანებს. მუქარას არად ვაგდებ, დერეფნის ბოლოს, მამაჩემის სამუშაო კაბინეტში შევრბივარ. კარს შიგნიდან ვკეტავ. ფანჯარა ქუჩაში გადის, ფარდას გვერდით ვწევ. სკამზე ავდივარ და აზიზ აყას გხედავ: დატუტული ბავშვივით ანურული დგას ქუჩაში. ხელში პატარა შეკვრა უჭირავს. ანეილი თბა დაუფარცხნია, ლილეები ბოლომდე შეუკრავს. არ უნდა, რომ მისი სვირინგი დაინახონ. ფანჯარას გაღებ და ვეძახი. გარშემო იხედება, წასვლას აპირებს. უფრო ხმამაღლა ვეძახი, ხელს ვუქმევ. ბრუნდება, თავს მაღლა წევს და მხე-

დავს, ისევ ის ძველბურთი სინაზე ევინება სახეზე. ცრემლები ჩამომდის, მე თვითონაც არ მესმის, რას ვამბობ. აზიზ აყა თავის ქნევით მესალმება. მარტო ღმერთმა იცის, რა ბედნიერია. ჩემსკენ მოდის, იცინის და საოცარი რამ ხდება: აზიზ აყას ტუტები ეხსება, პირი ბნელ მიღვამეს მიუგავს, რომლის სირღმეში ერთდერიი ოქროს კბილი ალადინის ლამპარივით ანაივთა, ვიცი, რომ ეს ჯადოსნური ლამპარი ყველაფერს ამისრულებს. თვალღებს ვხუჭავ და ვნატობ, რომ მოვრჩე, ხველამ გამიაროს და შიში მომშორდეს.

პარიზში სასტუმროში ვსახლდებით. სამი დღის მერე ექიმი მინიავს და გრძელ რეცეპტს გვიტოვებს. უკეთ ვარ და ნაკლებს ვახველებ. ჩემი საიდუმლოსა და ოქროს ჯადოსნური ლამპრის შესახებ არავინ არაფერი იცის. დედა ჩემს სწრუდ გამოჯანმრთელებას ფრანგ ექიმს მიანერს. მე კი ვიცი, ვინ და რამ მომამჩინა. ყოველ ღამე, სინდელში, სახნის ქვეშ, ხელს ვინფდი ალადინის ლამპრისკენ და ჩემს ჩვეულ ლოცვას ვიმეორებ.

პარიზში უქვს თვეს ვრჩებით. თივრანში რომ ვბრუნდებით, სკოლას მიცვლიან. ახალი სკოლა სახლიდან რამდენიმე ნაბიჯზეა. ფეხით მივდივარ და მოვდივარ, მაგრამ ქუჩაში გამოსვლისას გული მიმძიმდება, თვალი შამირანის ავტობუსისკენ გამიბრძნის.

...ნლები წსრაფად გაბრძნის მე ახალგაზრდა ქალბატონი ვხედები. ძველი ავტობუსების ადგილს ახალი მანქანები იტყვს და მათ საჭესთან ახალგაზრდა მძღოლები სხედენ. მე კი, თუმცა დიდი დრო გავიდა, ჩემი ძველი მეგობრის ერთგული ვრჩები. ყოველთვის, როცა სვედა შე მომანგება, ან საქმეები ამეწენება, ბავშვობის მოგონებებიდან ჩემი მეგობრის მაგაური სახე გამოკრთება ხოლმე. მისი ოქროს კბილის ელვარება ცისკრის ვარსკვლავივით მინათებს ღამეს.

...მოსავევში სამოცდამათე მარშრუტის ავტობუსი უხვევს და ნელა მოინევს წინ. ყურში ბავშვური ხმა ჩამესმის: "აზიზ აყას ავტობუსის გარდა, არც ერთში არ ავალ".

ჩემი გოგონა წინ მისწრებს. ავტობუსის მძღოლს ხელს უწევს. თვალღები ანცი და იდუმალი ფოქირით ეცხება იქნე, მასაც აქვს საიდუმლო, რომელსაც არ მიშეძლება? როგორც მე არ ვუმზღიდი არავის, არც დედას, არც ჰასან აყას და არც ალვის ხეებს ბალის სიღრმეში.

სასრულად თარგამანდი



უხილავთან წილნაყარი



ბის გამო. რა უნდა ჰქონოდა მას, რას უნდა დაუფლევ-
ბოდა, ან რისი უნდა ერნმუნა, როცა დუმილი მისი არ-
სი გახდა, დაბნეულობა კი მთელი სამყარო? რაც მეტს
ფიქრობ ამ ქალზე, მით უფრო ნაკლებად გიჩნდება სურ-
ვილი ეპოქის საზომებითა და ჩვეულებათა კვალდაკვალ
შეაფასო იგი. ეს ქალი თითქოს რაღაც ძველთუქველესი
წყველის მსხვერპლი გახდა. იგი სხვა მხარესა და სხვა ეპო-
ქაში უნდა შობილიყო, შვივიორტის დონეებს შორის,
ნისლსა და უკაცურობაში, დები ბრონტეების გვერდით...
დაკვირვებული კაცი ადვილად ამოიკითხავდა მის სა-
ხეზე, რომ იგი დიდხანს არ დარჩებოდა ჩვენს შორის,
რომ დღეგრძელობის კოშმარი აცდებოდა მას. ამ ქალს
სიცოცხლეშივე ისე ცოტა რამ ჰქონდა საერთო სიცოცხ-
ლესთან, რომ ყოველი მისი დანახვა უკანასკნელი იყო, გე-
ნა. განშორება მისი ბუნების უმთავრესი ნიშანი იყო, გე-
დის ანარეკლი, კვალი მინიერი არსებობისა. იგი ამას შარ-
ავანდენივით იხდენდა არა კადნიერების, არამედ უხი-
ლავთან წილნაყარობის გამო.

იგი მხოლოდ ორჯერ ენახე. სულ რამდენიმე საათით.
მაგრამ სასწაული ხომ დროით არ იზომება. ზმანება-
საგით მომეგვლინა და უცერად დამატყვევა მისმა არაქა-
ურმა გარეგნობამ, ჩურჩულმა (იგი კი არ ლაპარაკობდა,
შრიალბედა), გაუბედავმა მოძრაობებმა; მისი მზერა არც
ადამიანებისკენ იყო მიმართული და არც საგნებისკენ, საქ-
ცივლით კი საოცრად მომზიბლავ აჩრდილსა ჰგავდა. "ვინ
ხართ? საიდან მოხვედით?" - მინდოდა მეკითხა. თუმცა
ეს კითხვა, ალბათ ჰერში გამოეკიდებოდა, იმდენად იყო
შეზრდილი საიდუმლოსთან და მისი ძირს, სიცხადესთან
დაშვება წარმოუდგენელი ჩანდა. ჩვენ ვერასოდეს გავი-
გებთ, რატომ დათანხმდა იგი საერთოდ ესუთუქა, რა შემ-
თხვევითობამ აიძულა სუნთქვის ცდუნებას აპყროლიდა;
ვერც მისს გავიგებთ, თუ რას ეძიებდა იგი ჩვენს შორის.
მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას დარწმუნებით: ეს
ქალი არ იყო ამ ქვეყნისა და ჩვენს ზნედაცემულ სამყა-
როში მისი დარწმუნის მიზეზი ან ხათრი უნდა ყოფილი-
ყო, ან დამლუბველი ცნობისმოყვარეობა. მხოლოდ ანგე-
ლოსება და უგურნებელ ავადმყოფებს თუ ძალუთი გაგ-
რწმობიონ ის, რასაც ამ ქალის გვერდით განიცდიდთ:
პიპონტური, ზებუნებრივი უხერხულობა!

პირველი შეხვედრიდანვე შემიყვარდა მისი თავმდაბ-
ლობა, განსაკუთრებული, დაუვინყარი კრძალვა, რისი
წყალობითაც იგი ხან უხილავი ღმერთის მსახურებაში
დავერვდილი ქურუმ ქალს ემგანებოდა, ხანაც მიღბურის
ნოსტალგიის ან ექსტაზის უნაპირობით გათავგულ სულ-
თაშხილავს.

ყველა ადამიანური უნარით, მრავალი ნიჭით მაღლ-
ცხებებით, იმავდროულად თითქოს არავერზე იყო დამო-
კიდებული, არამედ რაღაც უხეზნის სიკვდაპეც ელტყვოდა
და განწირული იყო უხმოდ ქურჩულა თავისი უპივარო-

თარგანა მასლას სარბაშაში



ჩორანის ეს ურუგაველი მწე-
რალი ქალის, სუსანა სოკას შესა-
ხებ მოგვითხრობს. იგი 1907 წელს
დაიბადა, გამოსცემდა ლიტერა-
ტურულ ჟურნალს, თარგმნიდა
პოეზიას, 1936 წელს კი ურუგვა-
იში სტუმრად ჩასულ ანრი მიშო
გაიცნო და მალე მათი ურთიერ-
ობა მსურვალე, თუმცა ხანმოკლე სიყვარულში
გადაიზარდა. სუსანა სოკა 1959 წელს გარდაიცვა-
ლა უბედური შემთხვევის შედეგად - თვითმკი-
ნავი, რომლითაც იგი პარიზიდან მონტევიდეოში
ბრუნდებოდა, დაინვა. ბორქესმა მის სხეულსა ლექ-
ში მიუძღვნა, რომელიც 1960 წლის კრებულში შე-
ვიდა, ხუან კარლოს ონტიმ კი რომანი "ზუნტაკა-
დავერესი" - 1964.

აი, სულ ეს არის, რისი გაგებაც მოვახერხე ამ
უნაური ქალის შესახებ, მაგრამ როცა ხელახლა
გადავიკითხე ტექსტი და ეს რამდენიმე დეტალი
მისი ბიოგრაფიიდან, უკმარისობის გრძობობამ მა-
გა გამახსენა, კიდევ ერთი ლათინოამერიკელის,
სულიო კორტასარის მაგიური ქმნილება "კლასო-
ბანადან": მაგა, რომელიც პარიზს გამოეცემა და
მონტევიდეოში (თუ პერუჯაში, ან იქნებ სულ
სხვაგანაც) გაემგზავრა... ვის გვერდითაც ორასიო
ოლივირა "პიპონტურ, ზებუნებრივი უხერხულო-
ბას" გრძობდა და ამ უხილავის შოშით ატანილი
ფილოლოგიურ თამაშებს აფარებდა თავს.

მთარგმნელი



ვიქი პიუპლ რორანი ინგაჩვენაში

<http://ssmu.mcgill.ca/romanian/Cioran.html>
<http://persoweb.francenet.fr/~languefr/asselafl/let-tres20-18.htm>
http://dumitrescu.com/me/countries/romania/ency-clopedia/romania/culture/literatura/l_cioran.html
<http://www.spikemagazine.com/1197cior.htm>

საუბრები სტოპარდთან

ვრამდენიმე წინ



1983 წლის ივლისი-დეკემბერი

სტოპარდი ლონდონიდან ორმოცი წუთის სავალზე ცხოვრობს, პატარა ქალაქში, შიტროუს აეროპორტის სახალოებს. სახლაქმდე მოხერხებული ბილიკით მივდივარ, ავტოსტრადადან შენობა არც ჩანს, მას ხეები ფარავს. თავად დრამატურგის გარდა და სახლში მყოფელ და ითხი ვაჟიშვილიც ცხოვრობს.

სტოპარდებთან შუადღით მივდი, როგორც მოვილაპარაკეთ. სასტუმრო ოთახში მოახლე ქალი შემოდგა, დიდი, ვრცელი "დარბაზში", სადაც ალისტერ კუკიც კი კარგად იგრძნობდა თავს და იქიდან სიახლოვნებით შესთავაზებდა ამერიკელებს "თეატრალური შედეგების" მორიგ გადაცემას. სტოპარდი ბიბლიოფილია. ერთი თარო უკავია წიგნებს მებაღეობისა და ტანვარჯიშის შესახებ, მათ შორისაა მისი სტოპარდის ნაშრომებიც. მეორე თაროზე - დიკენსისა და სხვა ავტორების შესანიშნავი, ძველი გამოცემები მოთავსებული. კიდევ ერთზე თხელი ტომებიან ჩარიგებული, ტყავის გარკვენი. ეს თავად სტოპარდის პიესებია: "როზენგრანცი" და გილდენსტერნი მოკვდენენ", "ტრავესტი", "მეტომელები", "ლაქი და დღე". "ნამდვილი ამბავი" ჯერ კიდევ ელის ტყავის გარკვეანს.

"როზენგრანცი" "ამელტიდანი" იღებს სათავეს, "ტრავესტი" "რა მნიშვნელოვანია იყო სერიოზული"-დან, "ნამდვილი ამბავში" კი, როგორც სავაიკით აღნიშნავს სტოპარდი, არაფერი ხელი არაფერია. ეს პიესა, ალბათ ყველაზე პირვალულია სტოპარდის შემოქმედებაში, რადგანაც მისი მთავარი გმირი დრამატურგია, ვისი ბიოგრაფია ავტორის ცხოვრების ანარქულს ნარმოადგენს.

ვიდრე ჩემთვის ვფიქრობდი ამ თემებზე, კარგები თავად "ნამდვილი ამბავი" გამოჩნდა - მაღალი, გამხდარი, ენერგიით აღსავსე მამაკაცი, რომელიც ბოდიშს იხდოდა დაგვიანებისთვის, რადგან შვილი, ბარნაბი უნდა გამოეყვანა სკოლიდან. შემდეგ ლუდი შემოთავაზა და ისევ გაქრა. ისეთი შთაბეჭდილება შემეძენა, რომ აღარავადროს დაარწმუნებოდა, მაგრამ მაღელ იგი კვლავ ჩემთან გაჩნდა და თავის კაბინეტში წამოდგა, სადაც ადრე თურმე თავდა ყოფილა. პირველ სართულზე ორი მდივანი ქალი მუშაობდა (დრამატურგისა და მისი სტოპარდის). ჩვენ გვერდი ავუქციეთ მათ

და ნითელ, ხეულ კიბეს (რომელიც ძალიან ჰგავდა სახანძრო კიბეს) ავუყვით და ნიგნებით სავსე გრძელ ოთახში აღმოჩნდით, სადაც პიუპიტრს, კრიკეტის ჯოხსა და ეიმსის სავარძელს მოვკარი თვალი, სავარძელზე პატარა ბალიში იდო, ჩადვილდაც "მეტომელები" ამოქეარგა. კედელზე წარჩოებში ჩასმული თევზრეის, ტენისონის, სტრეინისა და კიპლინგის ნერილებების ორიგინალიც ეკიდა, აქვე იყო ყველაზე ძვირფასი რელიქვიაც, ბექტის ფოტოსურათი ავტორფაფით.

მელ ბასო. თქვენ კომპიუტერზე ბექდავით? **ტომ სტოპარდი.** არა, კალმით ვწერ. "ოლივეტი" ვორდ-პროცესორი შემოთავაზა, იმის სინაქსლოდ, რომ სარეკლამო სიუჟეტი შემეძინა მათთვის, მაგრამ უარი ვუთხარი. ვორდ-პროცესორი არ მჭირდება. მე მუშაობის სხვა მეთოდები მაქვს. ყველაფერს, რასაც ვჭირ, ფირვენიერ - არადა, ეს ასეულობით გვერდი გამოდის - შემდეგ ჯეკი ჩანანტის მიხედვით საბჭოდ მანქანაზე აწყობს ტექსტს და მე უკვე მასზე ვაგრძელებ მუშაობას.

მ.მ. ასე რომ, გამომის, ყოველი პიესა ავტორის შესრულებითაც არსებობს?

ტ.ს. ჰო, მე ყველას ნაცვლად ვთამაშობ პიესას. რომელიც გამოცემულა ყური მოკრა ამას და მითხრა, ფირებს თუ ინახათო... სამწუხაროდ, მე მაშინვე ვშლი მათ და ზედ ახალ ტექსტს ვანწერ.

მ.მ. ცვლით თუ არა პიესის ტექსტს, როცა მაგნიტოფონზე იწერთ, თუ ყველაფერს ისევე ტოვებთ, როგორც იყო?

ტ.ს. ვფიქრობ, ძალზე ძნელია ფურცელზე დაატიო ყველა მიითთება რეჟისორისადმი. ეს ხომ შემოქმედება არაა, არამედ უბრალო ხელობა, რადგანაც სინამდვილეში მაინც ხომ ზუსტად ვიცო, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ესა თუ ის სცენა. ამიტომაც მხოლოდ დიალოგს ვინერ და ზოგიერთ შენიშვნას ვაკეთებ, რომელსაც ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არცა აქვს. როცა ტექსტს მაგნიტოფონზე ვწერ, ამასთანავე რეჟისორისთვისაც ვუბნებ იმპროვიზებულ მიითთებებს. როცა ტექსტს დაბეჭდილია, მისი შეცვლა ფსიქოლოგიურად გაცილებით რთულია. შესაძლოა არასწორად ვიტყვეთ: თავად რომ ვბეჭდავდე ტექსტს, მასში ალბათ ცვლილებების შეტანაც უფრო გამომადვილებოდა. მაგრამ, როცა ჯეკი ბექდავს, იგი ამას, რა თქმა უნდა, არ აკეთებს. როცა ტექსტი უკვე დაბეჭდილია, იგი თითქოს ქვაზეა ამოკვეთილი. "დაბეჭდილი" - ხომ სხვადა, როგორ ფიქროს. უნდა შევცვალო თუ არა ჩემი მეთოდი? არა მგონია: რადგანაც, როცა საქმე რეპეტაციამდე მიდის, მაინც ისევ დაუნდობელი ხდები ხოლმე და ყველაფერს ცვლი, რაც არ ვარგა.

მ.მ. რამდენად განსხვავდება რადიოპიესა სასცენო პიესისაგან?

ტ.ს. პიესის იდეალური შესრულება ისეთი უნდა იყოს, როგორც ავტორის ნარმოუდგენია იგი. ანუ ფილმის გაკეთება სასცენო პიესისგან, ან რადიოპიე-

სის გასცნობურება, უზრალოდ, უნაყოფო საქმიანობა. მაგრამ რეალობაში ასე ხშირად ხდება ხოლმე რამდენიმე დღის წინ ვიღაცამ შემომთავაზა ჩემი ერთ-ერთი სატელევიზიო პიესა თეატრისთვის გადამტკეობინა. ჩემი რამდენიმე რადიოპიესა სცენაზეც ითამაშეს.

მ.მ. არ ფიქრობთ, რომ რადიოპიესებზე ტყუილად ხარჯავთ მასალას?

ტ.ს. არა. დიდხანს ვყოყმანობდი, როცა "ძალმა ფეხები გაფშკია"-ს ვწერდი, რადგან მასში ვიყენებდი იდეას, რომელსაც თეატრისთვის ვინახავდი: ადამიანს არ ახსოვს, ვისზე მუშაობდა. ამისგან ორ-სამაქტიანი პიესაც გამოვიდოდა, სადაც ამ ისტორიის გარდა, კიდევ ბევრი რამე იქნებოდა, მაგრამ რადგანაც ეს პიესა ვერ დავწერე, გულიც არაფერზე დამწყდა.

მ.მ. მაგრამ ჯერ კიდევ არაა გვიანი.

ტ.ს. რა თქმა უნდა. "ტრავესტიში" ზოგი რამ საკუთარ თავს დავესესხე, რადიოპიესიდან "შხატვარი კიბეზე ჩაღის"... "ძალში" კი შემდეგი იდეა გამოვიყენე: ადამიანს უნდაღურება შეუმთხვევია, რომელმაც აწეწა გამოინთვია, შემდეგ აზრზე მოდის, ამისთანაში ორი მხარე ერთდროულად ამტკიცებს, რომ იგი მასზე მუშაობდა. ერთი სიტყვით, გონების დაკარგვის გარეშე სიუჟეტიც არ არსებობს. მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ამნაშა აქ არაფერ შუაშია: ხომ შეიძლება ადამიანს უზრალოდ დააინფიცეს?

მ.მ. ძალიან მიკვირს, რომ თქვენი პიესების ეკრანიზება არავის უცდა.

ტ.ს. ერთადერთი პიესა, რომლისგან ფილმი შეიძლება გამოვიდეს, "ღამე და დღეა". სცენარიც კი დავწერე, რომელიც თითქმის ზუსტად იმეორებდა პიესას. ძალიან ცუდი სცენარი იყო - არსებითად ცოტათი შემოკლებული პიესა, მეტი არაფერი. ყველაფერი ეს ერთმა ჩემმა მეგობარმა - კინორეჟისორმა ამიხსნა, თუშეცა თავად მეც ვხვდებოდი, რას იყო საქმე. მცირე ხნის შემდეგ კიდევ ნავიშოვედი პიესაზე, ქვა ქვაზე არ დავიწყებ და უკეთესი შედეგიც მივიღე ამ სცენარის მიხედვით დღესაც შეიძლება ფილმის გაკეთება. "ტრავესტისა" და "შხატომლებში" ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედება სცენის ფიზიკურ სივრცეში ვითარდება, მაგრამ კინემატოგრაფში, სადაც ყველაფრის გამოსახვის საშუალება არსებობს, მოქმედების თეატრალიზება არ ნარმადგენს ღირებულებას. აკრობატები შორამიდას ქვნიან - მიერ რა? ჩემი სახელგანთქმული მრავალსიტყვიანობაც ხელს უშლის ხოლმე ეკრანიზაციას. გასულ კვირას ერთი კინემატოგრაფისტი დაინტერესდა "ნამდვილი ამბავი"-ით, მაგრამ უთხრეს, რომ ეკრანიზაციისთვის ეს პიესა არ იყარგება. საქმე სიტყვების რაოდენობაშიც არაა, არამედ იდეათა რიცხვში. მე სასაუბრო პიესის ფან-რში ვმუშაობ.

მ.მ. მაგრამ თქვენ მინც თეატრისთვის წერას ამჯობინებთ, არა?

ტ.ს. შესაძლოა ეს სწობიზმი იყოს, მაგრამ ნადვილ დრამატურგიად მხოლოდ თეატრალური დრამატურგია მიმაჩნია. ეს, რა თქმა უნდა, ირაციონალური მიდგომაა. რადიო, ალბათ, უფრო ახლოსაა წმინდა დრამატურგიასთან: იქ ხომ არაფერია სიტყვებისა და მსახიობთა მხების გარდა. სცენაზე კი რეჟისორიცაა, რომელიც ვიზუალურ მხარეზე აცნებს პასუხს.

მ.მ. "ნამდვილი ამბავში" თქვენ ფორფიტებზე საუბრობთ, რომლებიც დაუსახლებელ კუნძულზე მიაკეთ. რას გვეტყვიდით წიგნების, პიესების, ადამიანების შესახებ? რომელ პიესას ნაიღებდით კუნძულზე?

ტ.ს. ნასაკითხად?



სანდა საბატალაშვილი - ჯანაშია

მ.მ. არა, დასადგმელადაც.
ტ.ს. ასეთ შემთხვევებში საჭიროა დრო მოსაფიქრებლად და სიის შესადგენად. ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. რაც არ უნდა აირიო, მინც არ იქნება საკმარისი.

მ.მ. წიგნები?

ტ.ს. ახლა უნდა მეოქვა "ფინგანის ქელებს"-მეთქი, დროის მოსაღვად, რა თქმა უნდა, მაგრამ სიმართლე ითქვას, ამ წიგნის ნალების არც ისე დიდი სურვილი მაქვს.

მ.მ. ნაკითხული გაქვთ?

ტ.ს. ხელში მჭერია.

მ.მ. მე პრუსტს ნაწილად.

ტ.ს. არაა ცუდი იდეა. ერთხელ ნაწილ პრუსტი კურორტზე და ძღვს მოვერიე პირველ ტომსა და მეორის ნახევარს. არდადეგებთან ერთად პრუსტიც დამოთვრდა. ალბათ, რაღაც საცნობარო გამოქვეყნებას ნაწილად. ძალიან მიყვარს ცნობარები.

მ.მ. ყველას აინტერესებს, საიდან მოგაქვთ იდეები, რომლებიც თქვენს ნაწარმოებებს ედება საფუძვლად.

ტ.ს. წიგნებიდან არა, ყოველ შემთხვევაში. მე ხომ მეცნიერი არა ვარ. როცა წიგნებისა და პიესების შესახებ მკითხეთ, ვითქვით, რომ მწერლები კრიტიკოსებზე და მკვლევარებზე უარსებენ ცნობიერ ლიტერატურას. დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს რესტავრაციის ეპოქის ბევრი საუკეთო დრამა, რომელიც მე არ ნამიკითხავს. ერთი სიტყვით, არც ისე ბევრი რამ ვიცო.

II

1983 წლის აგვისტოში სტოპარდი ნიუ იორკში იყო, სადაც რეჟისორი მაიკ ნიკოლსთან ერთად დგამდა "ნამდვილი ამბავს" ბროდვეიზე. ერთხელაც შევთანხმდით, შევკრებლიყავით და ერთად დაგვეკონა სასტაჟო "კარალი"-ში. სტოპარდმა დაგვეკონა და ახლადავლიქებულს ჰვავდა.

ტ.ს. დემესიზმრა, თითქოს სასტაჟო "ალგონინის" წინ ვდგავარ აუარება ხალხში, მათ შორის მივიყვია. ჩემ ჩანთას ვერ ვყოფლობ. არ ვიცო, რა ცენა - და ამ დროს ვხვდები, რომ ისევე ჩავიძინე, არადა, თქვენ შესახებ ვერაფერ უნდა ნამოვსულიყავი. რაღაც არ უმართლებს ჩემს ინტერვიუს ამ ბოლო დროს: ან ძილბურანში ვარ, როგორც ახლა, ანდა სადმე მიმართვეყნ, როგორც მაშინ, როცა სახლში მოხვდით ჩემთან. "ზრაუნთან" როცა შევხვდით, იქაც რაღაცამ შეგვიშალა ხელი. თუმცა არ მახსოვს, რამ.

ალბოთ ისევ ჩამეძინა...

მ.მ. გასაკვირი არაფერია, ძალზე ცხელი დღე იყო. მასხოსეს, ფარდულის ქვეშ ვიჯექეთ. ახლა მინდა რამდენიმე სტრიქონი წავგიკითხოთ თქვენი პიესებიდან, რათა გაისმინოთ ადრე ნათქვამი და მიზნობა, ახლაც იმავე აზრისა ხართ თუ არა. აი ციტატა პიესიდან "შხატვარი კიბუხე ჩაიღს": "ოსტატობა წარმოსახვის გარეშე ხელმისაღწევიანა დაბახსიათებელი; იგი ბეგრ სასარგებლო საგანს ქმნის - როგორც მაგალითად, მოწმულ კალათებს პიენითვის. წარმოსახვა ოსტატობის გარეშე თანამედროვე ხელოვნებისთვისა დაბახსიათებელი".

ტ.ს. მე ახლაც ასე ვფიქრობ.

მ.მ. რა უფრო მნიშვნელოვანია: წარმოსახვა თუ ოსტატობა?

ტ.ს. წარმოსახვა, რადგანაც იგი ადამიანის შინაგან ცხოვრებას სრულყოფს. თუკი საუბარი შემოსავლის წყაროზეა, მაშინ უკეთესი იქნება, ოსტატობას ვფლობდეთ.

მ.მ. ჩვენს პირველ საუბარში თქვენ თქვი: "პიესებს იმიტომ ვწერ, რომ დიალოგ ერთადერთი ღირსეული ხერხია საკუთარ თავთან დასაპირისპირებლად. მე იმ ადამიანთა რიცხვს მივყვებით, რომლებსაც ძალიან უყვართ უსარსულო დისპუტები მორალის თემაზე". ისევ მართალი თუ არა დიალოგებს საკუთარ თავთან?

ტ.ს. დიას, თმცა მას შემდეგ ბეგრ რამ შეიცვალა. მიუხედავად ამისა, დისპუტისმაგვარი სცენების წერა ძველებურად მიყვარს. მომწონს, როცა ორი ადამიანის საუბარი ჩოგბურთის თამაშს ენსაგვსება.

მ.მ. ერთხელ თქვით, პერსონაჟები ერთნაირად იმიტომ ლაპარაკობენ, რომ სწავდილობენ ყველა მათგანის ნაცვლად თქვენ ლაპარაკობთ. მე მგონი, ახლა ყველაფერი შეიცვალა.

ტ.ს. არა, არ შეცვლილა. მე დღემდე მივაკუთვნებ თავს იმ ავტორების რიცხვს, რომლებიც ყოველი პერსონაჟის ხასიათს ზუსტად გამოკვეთენ და ცდილობენ ყველა მათგანი თავისი ხმით ლაპარაკობდეს. შესაძლოა ერთი პერსონაჟი საფრანგეთის ელჩი იყოს, მეორე კი სამხრეთ უელსელი მეშახტე, მაგრამ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ისინი ერთნაირად იმეტყველებენ, მთავარია, რაზე საუბრობენ ისინი და რას წარმოადგენს თითოეული მათგანი. უბრალოდ რომ ვთქვათ, ჩემს გმირებს ვაიძულებ, ის თქვან, რაც მე მსურს.

მ.მ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თქვენს პიესებში შეუძლებელია უფიცი პერსონაჟის არსებობა?

ტ.ს. მე ასეთი პერსონაჟები არ მყოლია, რადგანაც პიესებს გარკვეული აზრების გადმოსაცემად ვწერ, ეს კი ნიშნავს, რომ მასში ისეთი ადამიანები უნდა მოქმედებდნენ, რომლებსაც შეუძლიათ ამ აზრების გამოთქმა.

მ.მ. გამოიღის, თქვენი პიესის პერსონაჟი გარკვეულწილად მჭევრმეტყველის ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული?

ტ.ს. დიას. "ტრავესტიში", მაგალითად, ტრისტან ტლა-რა მონადილეობს, რუმინელი. მაგრამ მე არ ვაიძულე იგი,

რუმინული აქცენტით ელაპარაკა. მან საკმაოდ ბეგრ მნიშვნელოვანი აზრი უნდა გამოთქვას, დამტყვევებელი ინგლისურით კი ამის გაკეთება ძნელია. უზარმაზარი შეგება ვიგრძენი, როცა მიგვძვი, რომ მივლი პიესის მოქმედება მოხუცის წარმოსახვაში უნდა განვითარებულიყო, ამიტომ რუმინელსაც შეველი ისევე ელაპარაკა, როგორც სხვებს. როგორც მაგალითად, პერსონაჟი "რა მნიშვნელოვანია იყო სერიოზული"-დან. "ელსა და ლამეში" აფრიკელი დიქტატორი - თუ არ ვცდები, ერთადერთი აფრიკელი დიქტატორია, რომელმაც ლონდონის ეკონომიკური სკოლა დაამთავრა. იგი ასეთი მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ ჩემი სათქმელი გადმოეცა.

მ.მ. რას იტყვით იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისლები არ არიან, ჩამოიღიან ამ ქვეყანაში და უზარმაზარ როლს თამაშობენ ინგლისურ სიტყვერებაში? იქნებ ამ საუბრებზე რაღაც საერთოც იყოს თქვენსა და შოუს შორის?

ტ.ს. მთლიანობაში, ალბათ არა. მე ნაკლებად მაინტერესებს ეს. "ინგლისურბა", როგორც ასეთი. ჩემთვის ეს მხოლოდ ქვეყანა და დროა, სადაც ვცხოვრობ და ენა, რომელსაც ვიყენებ.

მ.მ. რამდენი წლის იყავით, როცა ინგლისში ჩამოხვედით?

ტ.ს. რვის. მანამდე ამერიკულ სკოლაში დავდიოდი, ინდოეთში.

მ.მ. ე.ი. ინგლისური აქ ჩამოსვლამდე ისწავლეთ?

ტ.ს. რა თქმა უნდა, ინგლისური ჩემი მშობლიური ენაა. მართალია, ბავშვობაში ძალიან სასაცილოდ ელაპარაკობდი, მაგრამ ვერ ვხედავოდი ამას. ასე რომ, ინგლისური ჩემს პირველ ენად იქცა, ჩხუბური უფრო გვიან ვისწავლე. როცა ინგლისში ჩამოვედი, ჩხუბრად საერთოდ აღარც ვლაპარაკობდი.

მ.მ. ინგლისელად თვლით თავს?

ტ.ს. რა თქმა უნდა. სწორედ ამასა პრობლემა. სულაც არ მიმაჩნია თავი უცხოელ მწერლად. წერა-კითხვა ინგლისურად ვისწავლე.

მ.მ. ანუ თქვენს შემთხვევას არაფერი აქვს საერთო ნაბოკოვთან, რომელიც რამდენიმე ქვეყანაში ცხოვრობდა, ვიდრე ამერიკაში დასახლდებოდა.

ტ.ს. ნაბოკოვი ხომ არისტოკრატი იყო. ინგლისურად და ფრანგულად იგი ჯერ კიდევ ბავშვობაში მეტყველებდა. მამამისი ინგლისურს თითქმის თავისუფლად ფლობდა.

მ.მ. თქვენთვის ნაბოკოვი მწერლის იდეალია თუ არა?

ტ.ს. არა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მომწონს. საერთოდაც, არ მჯერა, რომ მწერლები სხვა მწერლებს სახაედნენ იდეალებად. რაც უფრო მოგწონს სხვა მწერალი, მით უფრო ნაკლებად განჩინება სურვილი, გააიდელო იგი, რადგან ამის გარეშეც გრძნობ მისკენ ფაქტურ ლტოლვას. როცა წერს ვინცედი, შემინგუვიზე ვგვიფიქვოდ, ამიტომაც პირველი მოთხრობები შემინგუვისას ჰგავდა - ოლონდ იმ განსხვავე





სანთ. საბინალონიან - პირიონი

ბითი, რომ ჩემები არაფრად ვარგოდა. შემინგუეი დღემდე ჩემს საყვარელ ამერიკულ მწერლად დარჩა. იგი ფექტს უბრალო, თბრობითი წინადადებით აღწევდა. მასთან თითქმის ვერსად შეხედვის ნატიფ სიტყვებს და თავად სიტყვა "ნატიფსაც." იგი ძალზე ფრთხილად ეკადებოდა მწერლებს, რომლებსაც გრძელი სიტყვები უყვართ. მე ვფიქრობ, აღწერის ხელოვნება შემინგუეიმ სრულყოფილებამდე აიყვანა.

მ.მ. თქვენზე მეტად, მე მგონი, პინტერი შავს შემინგუეის ამერიკაში კი ასეთი დევიდ შემეტია.

ტ.ს. ალბათ მართალი ხართ: ერთხელ ვკითხე შაროლდს შემინგუეის შესახებ და აღმოჩნდა, რომ ისიც სასეთის იზიარებს ჩემს აღფრთოვანებას ამ მწერლით, განსაკუთრებით ეს მოთხრობებს ეხება.

მ.მ. შეადარე მისეული და თქვენი წერის მანერები.

ტ.ს. არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ჩვენ სხვადასხვა რამეზე ვწერთ. შემინგუეი, პირველ რიგში, იმაზე წერდა, რაც ახალგაზრდების აღფრთოვანებას იწვევდა. სახიფათო და ამაღლებებელი თავგადასავლების შესახებ.

მ.მ. თქვენ სახიფათო და ა.შ. თავგადასავლებზე არ წერთ.

ტ.ს. არა, მაგრამ ეს იმას როდღე ნიშნავს, რომ არ მიყვარს ასეთი ნიგნების კითხვა. მასსოვს, "სხვა ხმები, სხვა ითხები"-ს ვკითხულობდი. შესანიშნავი წიგნია, მაგრამ ძალან სახიფათო დამწყები მწერლისთვის, რადგან ასეთი ნიგნის დანერა მხოლოდ კამპიტეს შეუძლია. რა სახეობა? თითქმის ტროპიკულ ჯუნგლებში ხარ, ეგზოტიკური მცენარეთა შორის. მასსოვს, კამპიტეს ყაიდაზე მოთხრობაც კი დაწერე, ისე ვიყავი აღფრთოვანებული მისით. ვიცოდი, რომ ჩემთან ყველაფერი ამას არაფერი ჰქონდა საერთო, უბრალოდ, ფექტის გადმოცემა მიწოდდა. შემდეგ შემინგუეი ნავიკითხე. ყველაზე საშიში მასში ისაა, რომ ნავითხისთანავე ფიქრობ - შენც შეგიძლია ასე წერა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩვიდმეტდიან ოცდობარ წლამდე მხოლოდ ამერიკულ ლიტერატურას ვკითხულობდი. მაშინ საროიანიც მომწონდა - შენც შეგიძლია ასე წერა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩვიდმეტდიან ოცდობარ წლამდე მხოლოდ ამერიკულ ლიტერატურას ვკითხულობდი. მაშინ საროიანიც მომწონდა - შენც შეგიძლია ასე წერა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩვიდმეტდიან ოცდობარ წლამდე მხოლოდ ამერიკულ ლიტერატურას ვკითხულობდი.

მ.მ. თქვენი ნაწარმოებების თემები, სტილი რომ არაფერი თქვამს, ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. იგი ნადირობისა და თევზაობის, ქალბუნების და ქვეყნების დაპყრობის, მამაცობის შესახებ წერს, ანუ ყველაფერ იმის შესახებ, რასაც თქვენთან იშვიათად შეხვდებით.

ტ.ს. მართალია, რა უნდა გითხრობ: შესაძლებელია ერთს წერდე, მაგრამ სხვა რამე გიყვარდეს. მე ძალზე ფართო გემოვნება მაქვს. შემინგუეიც მიყვარს და "რა მწიშველოვანია იყო სეროიული"-ც. ასევე "ულისეც".

მ.მ. და მაინც, თქვენი შემოქმედება ჯოისთან, ნაბოკოვთან და უაღლდთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე შემინგუეისთან ან პინტერთან... იქნებ "მაგარი" პიესა ჯერ კიდევ დასაწერი გაქვთ?

ტ.ს. "მაგარი"? არ ვიცი. "ლამე და დღე" მე მგონი, საკმაოდ "მაგარი" რამეა.

მ.მ. მე ხომ არ გთხოვთ, შემინგუეითი წეროთ. უბრალოდ ცდილობ, გავიგო თქვენი აღფრთოვანების მიზეზები.

ტ.ს. შესაძლოა უბრალოდ მშურს იმის, რისი კეთილბუნებელი არ შემიძლია.

მ.მ. "ნამდვილ ამბავში" პერსონაჟი აცხადებს, რომ არ შეუძლია სიყვარულის შესახებ წერა. თქვენ თავს გულისხმობთ?

ტ.ს. დიახ, ოღონდ "ნამდვილ ამბავამდე". ამ პიესაში საერთოდ ბევრია თვითირონია. ჰქნარი იქ ამბობს, რომ როცა სიყვარულზე წერს, "აუტანელი, გულუბრყვილო და უხეში" რაღაც გამოდის. ერთხელ ვთქვი, რომ როცა სიყვარულზე ვწერ, ყველაზე ძნელია თავი დააღწიო ბანალობას, რომელიც ყველაფერ ამის საფუძველი დასემეტი. ჰქნარი იმავე სცენაში ამბობს: "ვგიჟდები, როცა ცარიელ ფურცელს ვხედავ ამას ისევ ლაპარაკი არ ჯობია?" ეს ჩემს შესახებია.

მ.მ. ე.ი. სიყვარულზე აღარაფერი დაგინერიათ?

ტ.ს. დიახ. და ალბათ არც დაწერე. მაგრამ რაც არ უნდა ვთქვა, "ნამდვილი ამბავი" მაინც სასიყვარულო პიესაა მის შემდეგ რამდენჯერმე მოხუცეს, დამწერს რამე სიყვარულზე, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ერთხელ უკვე გავაკეთე, მაგრამ მჭირვარე შესაძლოა ვერც შეძელი. მე მგონი, თუკი მწერალს აქვს ტერიტორია, სადაც უჭირს პიესა შესვლა აკრძალულია, ეს სიყვარულის ტერიტორიაა.

მ.მ. მაგრამ სექსზე ხომ დაწერეთ. "შტომომლებში" და "ბინძურ თეთრულში" არის ეროტიკული მომენტები.

ტ.ს. ეროტიკულია, მაგრამ მასში არაფერია პიროვნული. ეს თეატრალური სექსია, თეატრალური ვნებები, სექსი, როგორც მახელონიკური საუბარი. სიყვარულზე წერა გაცილებით საინტერესოა. ოცდახუთი წელი ვცდილობდი, დამეძლია ეს ბარიერი. ათი წლის წინ ამის შესახებ ვერაფერს დაწერდი, მაგრამ ახლა ვფიქრობ ხოლმე: "ბოლოს და ბოლოს, ვისი რა საქმეა?" (ამ მომენტში მაიკ ნიკოლსი შემოდის და ბოდიშს იხდის, რომ ხელი შეგვიშალა)

მ.მ. ეს-ესაა სექსზე ვსაუბრობდი. ახლა რელიგიაზე გადავიდეთ.

მ.მ. შეგიძლიათ ქალაქკარეთ განვიხილოთ, ან საერთოდ, იელში გაეგზავნათ. რამდენ მოასწრებთ. არაა აუცილებელი, ჩემს თვალწინ გააკეთოთ ყველაფერი.

ტ.ს. ჩვენ ფეხებზე გვკვიდა. ზუსტად შინაგანი ბარიერის შესახებ ვსაუბრობდით ახლა. ღმერთზე რაო, რა ვთქვით?

მ.მ. "უკეთესია გვეროდეს ღმერთის არსებობის, ვიდრე იმის, რომ მწვანე ხავსი - დროს თუ მისცემ - შექპირის სონეტებს დაწერს".

მ.მ. ამ მწვანე ხავსისთვის ბრტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში თუ მოიძებნება ადგილი?

მ.მ. ეც ბიბლიოთეკა სწორედ მწვანე ხავსით იქნება სასესე.

თარგმნ. მამია კირაპირიძე



პრაგმატული თეატრი

ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში ნარმოთქმული სიტყვა



დვირფასო აუდიტორიაც, თუკი რაიმე გამოგნდება ამქვეყნად, ისევ ასეთი სათაური: "სანახაობითი ხელოვნების ტექნიკა და ინტერპრეტაცია". ნუ იფიქრებთ, ტექნიკის სანინაალმდეგო მქონდეს რაიმე, ანდა ეს ტერმინი მაშინდებს. პირიქით, სავსებით მართებულიად მიმამნია მისი გამოყენება: მაგალითად, ალბინიზმთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ჩემთვის და, ვიმედოვნებ, თქვენთვისაც დღესავით ნათელია მისი არსი. აბა, ჰკითხეთ ნებისმიერ მთამსვლელს ტექნიკის შესახებ. პასუხი, ალბათ, ერთი იქნება, უნდა ვცვალო ისე ავიდე, რომ არსად გადავიჩქეხო. რაც არ უნდა ვაკურიტიკოთ მთამსვლელს ეს გამოინათქვამი, ვფიქრობ, სხვას ვერაფერს გაიპასუხებთ. მთელი ტექნიკაც ეგ არი. მე კი, სხვათა შორის, არა როგორც ლექტორი, არამედ თქვენი მონა-მორჩილი ერთ-ერთი დრამატურგია, თავს უფლებას მივცემ, განესაზღვრო თეატრის რაობა. ჩემი რწმენით, ეს არის სცენაზე გაკოცლებული მხატვრული ნაწარმოები, მაყურებლისთვის მისაღები და საინტერესო. მაგრამ მოდით, ეს საკითხი ჯერჯერობით გვერდზე გადავდოთ, მით უფრო, რომ თავს ვერ დავედებ ასეთი განსაზღვრის სიზუსტეზე. ერთი კია, ჩემს დღეში არ მიმიმართავს ისეთი ტექნიკოსთვის, ნაწარმოების ტექსტის საზიარო რომ შექმნილიყო.

ინტერპრეტაციაზეც მსმენია ზოგი რამ: მსახიობი ახდენს როლის ინტერპრეტაციას, დამდგმელი რეჟისორი - ტექსტისას, მაგრამ, ვფიქრობ მწერალი იმ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნოდეს, ვისი გადამღერებაც ასე იოლი იყო.

ამას წინათ სამსახიობო სკოლის ყმანვილებთან მქონდა შეხვედრა და ასეთი კითხვა დამისცა: რა არის თქვენი უპირველესი მოთხოვნა მსახიობისადმი თქვენსავე პრესაში? ჩემმა მოკრძალებულმა პასუხმა "ვაფიქრო დექცია", არც მეტი, არც ნაკლები, სიცილი გამოიწვია, საკმაოდ გაღიზიანებული სიცილი, მომეჩვენა, რომ რაღაცას მსაყვედურობდნენ კიდევ. მე კარგად ვიცო, რა ხდება მსახიობის გულსა და გონებაში, რა ძალისხმევას ითხოვს როლის გათავისებება და ასეთ დროს დექცია ითითვის ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ, მენმუნეთ, არც მთლად ასეა საქმე უმთავრესი, რასაც ვითხოვ, სწორედ მკავიო გამოთქამა და უმეტეს შემთხვევაში, იმედი მიცრუვდება.

როცა სპექტაკლი მზადაა მთელი თავისი "ტექნიკითა და ინტერპრეტაციით", განათებით, კოსტიუმთა დეტალებით, ბგერითი ეფექტებით და ა.შ. ჩემნაირი ახირებული დრამატურგები უმორჩილესად სიხოვენ მსახიობს, განსაკუთრებული ყურადღებით მოევიდონ ამა თუ იმ ხმოვან-თანხმოვნის წარმოთქმას. ასე მაგალითად, კავშირი "თუ" ("if") წინადადების თავში, როგორც წესი, სცენაზე უკვალოდ ქრება. წარმოდგენის დაწყებამდე ზეპირად ვიცი, რამდენ ასეთ წინადადებას შეიცავს ტექსტი და ერთი უბრალო მიზეზის გამო: ყველა მთავარი დიდი რუდუნებით მაქვს შეტანილი უბის წინგავში...

ახლა ცოტა რამ ინფორმაციაზე! აი, სცენაზე ქალ-ვთი გამოდის. კაცი ეკითხება: - რამეს ხომ არ დალევდი, ძვირფასო? ქალი პასუხობს: - რაკომაც არა. სოდიან ვისკის ეს ყოვლად უინტერესო "აზრთა გაცვლა-გამოცვლა" საინტერესოც შეიქნება და დრამატურღიც იმ ინფორმაციის ფონზე, რომელსაც წინასწარ ფლობს მაყურებელი. ვთქვათ, სერი ის არის, რომ ქალბატონი ანონიმურ ალკოჰოლიკთა საზოგადოების წევრია, ან გავტანის ადრე ადამიანის მოწამულა ბრალდებოდა, ანდა სულაც მის ქურს დროებით შეფარებული ძმაკაცი ამ ვისკის ბოთლს შარდის ანალიზისთვის იყენებს. როგორ ფიქრობთ, აქ ტექნიკასთან გვაქვს საქმე?

თანდათან, მგონი, ვხვდებით, რას უნდა ნიშნავდეს ეს ტერმინი. ტექნიკა გახლავთ კონტროლი იმ ინფორმაციის-სარომელიც სცენიდან დარბაზისაკენ მიედინება - კერძოდ, ამ ინფორმაციის წარმართვა და რეგულირება. გაზოდის, დიდ რისკზე გვიხდება მწერლებს წასვალა იმ შემთხვევით, არც ისე დიდზე, ერთი შეხედვით რომ გვეყენება!

მასხენდება შექსპირის უამრავი დადგმა, სადაც რეჟისორები მიიღებდნენ არ დაგვიყენ მაყურებლისთვის ინფორმაციის დიოდებს (და არ გავხდებოდნენ არც ერთი, სადაც ამ შრიც ყველაფერი რიგზეა). აი, თუნდაც ტრევიორ ნანის პირველი გახმარებული წარმართვა: "შეცდომების კონცეპტი". მოქმედება იწყება ეფესოსში, სადაც იქაური ჰერცოგი ჩვენს დასამოძღვრად და ყურადსაღებად თანამოქალაქეებს აუნებებს, რომ ეფესო ქალაქ სირაკუზას დაუფინანსებელი მჭერია და ნებისმიერ სირაკუზულს, რომელიც ეფესოში აღმოჩნდება, შავი დღე უნდა დაადგეს. უეცრად ერთ-ერთი მშენებლთაგანი სახით მაყურებლისაკენ ბრუნდება და შიშით გასცქერის დარბაზს. ჯერ ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. მაგრამ არსებობს ერთი რამ, რითაც უსიტყვოდ "იყიდება". ტანზე მისიური აცვია მკავიო წარწერით: სირაკუზა! მეტად თამამი ინტერპრეტაციაა, თქვენ რას იტყვიდით?!

ისე კი, შექსპირის დამდგმელები ხშირად მიმართვენ მსგავს ხერხს დარბაზს "გასამიარებლად" და ამის საუკეთესო მაგალითია რინარდ ვარის "შამლეტი", სადაც ყმანვილი პრინცი მამის აჩრდილი ამავე პრინცის ავადმყოფობი ფანტაზიის ნაყოფად გვევლინება. იგი მხოლოდ მის წარმოსახვაში არსებობს და სხვაგან არსად. ეარმა შეიხზა აჩრდილის საკუთარი სცენა, სა-

დაც მსახიობს ორ ხმაში უნცეს ლაბარაკი - თავის და აჩრდილისა. თქვენ უკვე მიხვდით, ამ სითამამემ გარკვეული უხერხულობა რომ გამოიწვია. მოგესტენებათ, წესით და რიგით, პირველ სურათში აჩრდილი სახეზეა, შალეტე კი არ ჩანს. შედეგი (თუ გნებავთ, გამოსავალი) კი ის გახლავთ, რომ რჩარად ვარმა საერთოდ უგულვებლყო ეს სცენა და ნარმოდგენა მშვიდად დაიწყო მეორე სურათით, რომელიც ნაკლებ ამაღლებული და დატვირთულია. ნამდვილ "შალეტეში" კი სწორედ პირველი ნამდვილი სცენა მუხტავს და აღანთებს მთელ პიესას - მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები, შაერში დატარებული საფრთხის სუნნი და ა.შ. რა არის ეს? შექსპირის ტექნიკა? და თუ ასეა, იცოდა კი მან, რომ ტექნიკას ფლობდა? ანდა აქვს ამას ჩვენთვის რაიმე მნიშვნელობა? არც კი მინდა ვიფიქრო, რომ ამ გენიოსს საქმე ჰქონდა რაიმე სახის ტექნიკასთან. მომიტყევეთ და ეს, ცოტა არ იყოს, აბსურდულადაც კი მეჩვენება.

ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ ოსკარ უაილდის "რა მნიშვნელობა აქვს იყროსული" საუკრეთესო სცენურ კომედიაა. ანა ენახოთ! ორიგინალიში ყოფიდა ასეთი სურათით: ტრიპიური ინგლისური სახლი ლამაზი ბაღით, ბაღში ყაზმები - ჯეკი და ველჯერნიონი და ორიც ასული, სახელად სესილი და გვერდოლნი. ჩემი არ იყოს, თქვენც ხომ გეტყვით ეს ოთხეული და აი, უფერად, ამავ ბაღში ჩნდება კიდევ ერთი მოქმედი პირი, ვინმე გრიმსბი, გადასახადების ამკრფი, სასტუმროს გალის ამოსაღებად რომ მობრძანებულა. და ამ სცენას, არც მეტი, არც ნაკლები, 17 გადაბეჭდილი გვერდი უკავია... ერთხელაც პიტ შაფერი მეუბნება: - ო, რო იყოფდე რა ნახა ჩემმა თვალებმა ნიუ ორიკის საჯარო ბიბლიოთეკაში. "რა მნიშვნელობაა..."-ს ორიგინალი, მანქანაზე გადაბეჭდილი ოთხივე მოქმედება მე ჯერ ვერ მივხვდი, რა უხაროდა, მერე გავესტრადი: სცენაზე პიესა სამოქმედებანია. თავის დროზე ჯორჯ ალექსანდერს, მსახიობ-მეწეფერის რეპტიციის წინ ტექსტი შეუკვეცია: სხვათა შორის, არც უაილდი დარჩენია ვალში: "ის სცენა, შენ რომ ზედმეტად მიგაჩნია, დიდი ტკივნის ფასად შევქმენი, მაგან ნაიღო ჩემი გული, ჩრევები და დრო... მიეღიე ხუთი წუთი ცვლილობი!"-ო. უაილდი გენიოსი იყო, ალექსანდერი კი - ტექნიკოსი.

პრაგმატიზმს თეატრთან არაფერი უნდა ესაქმებოდეს. გარკვეულწილად, ეს საგანგებოდაც კი მესახება. ჩვენში უკვე ჩვეულებრივ ამახად იქცა ოთხმოქმედებანი ორიგინალის სამზე დაყვანა. თქვენ ჩემზე უკეთ მოგესტენებათ, რა ემართება ავტორის ტექსტს, როდესაც იგი საჭიროზე

მეტ დადიანს უფარდება ხელში შემდგომი "ინტერპრეტაციისთვის". მხოლოდ რამდენიმე "ახირობელ" დანატურტურტა გააქვს თავისი, არ ვიცი, საქმის სასიკეთოდ თუ საზიანოდ, მაგრამ თეატრის მთელი პარადოქსი იმაში გახლავთ, რომ პირმშობსათი ძვირფასი და სონტეტივი პირადული ნაწარმები დადგმის პროცესში ნაკლებებს ემსგავსება. დადგმის პროცესი კი, რბილად რომ ვთქვათ, სასტიკად ემპირიულია.

როცა უკვე ვცვლიანია ნათქვამი და ნარმოდგენილი (ე.ი. როცა ავტორი დარწმუნებულია, რომ მისი ტექსტი სცენაზე რჩადილავს ყველა დანარჩენს), როცა საპეტტალმა უკანასკნელი ხიდი უნდა გადოს სცენასა და დარბაზს შორის, ცხადი ხდება, რომ მისი ნარმოდგენა "ნამდვილ" ტექნიკოსთა უნარზეა დამოკიდებული. თუ თეატრში არასოდეს გიმუშავიათ, არ დაიჯერებთ, რამდენი დრო აქვს თითოეულ რეჟისორს, რამდენი ენერჯია...

აქ პარადოქსი კიდევ იმაშია, მეტაფიზიკურ შთაბეჭდილებას ფიზიკური მოვლენა რომ ფარავს. ჩვენ დადვივართ თეატრში, რათა ვიხილოთ "ნანერი" და მისი შესრულება, ანუ თამაში. აი, სწორედ აქ იჩენს თავს პუნქტუაციის მნიშვნელობა. ამ მხრივ მართლაცდა მოსანიონია ნანის "მაკეტა" იან მაკელანისა და ჯუდი დენის შესრულებით. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, მაყურებელი (და რეჟისორიც) დაძაბულია და თუ ავტორიც ესწრება საპეტტაკლს, გულის კანკალით ელის რეჟისორს, რომელიც სულ რამდენიმე წუთში გააცამტყვრებს ნანერ გვერდს, ანდა ლამაზად ააღღვარებს. ეს ის გვერდია, ცოტა ხნის წინათ მასთან რომ იყო, გარეშე თვალთაგან დაფარული და "შშობლის" გულის გახმარებული.

ასე რომ, ჩემს მიერ ზემოთ ნახსენები სიტყვათშეთანხმება "სასტიკად ემპირიული" ზუსტად გადმოსცემს მოვლენის არსს.

ორიოდ სიტყვა სცენიდან დარბაზისაკენ ინფორმაციის წარმართვის შესახებ. საპეტტალის დაწყებაზე რამდენ მაყურებელს აქვს ნარმოდგენა შექსპირის (ან უაილდის, ანდა მაგანის და მაგანის) პიესაზე? თეატრს კი აქვს. ზოგან თითქმის მთელი დარბაზისათვის ჩონჩხია პიესის ტექსტი. აი, ეროვნულ თეატრში კი საქმე უკეთაა: ნახევარ დარბაზს მაინცა აქვს ნაკითხული ორიგინალი და ინფორმაციის ნაკლებ წარმართვა გათვითმობიერებული მაყურებლისთვის ამაო გარეჯად და სხვა არაფერი.

მსურს გავისენო ჩემი პიესა "ნამდვილი ამაზი". რა მწვავე კამათი გამოიწვია დადგმისთანავე! გულდასაწყვეტი კი ის გახლდათ, რომ ვერც ლონდონში და ვერც ნიუ იორკში ვერ მოვიხელეთ ვერც ერთი წუთი, როცა დარბაზი სათანადოდ აღიქვამდა სცენაზე მომხდარს. მხოლოდ 17 წლის მერე, ერთ-ერთი რეპეტიციის დროს მივხვდი, რომ ტყუილად ვცხარობდი მაშინ. ხომ არ ციცილი, რამდენ ჯაქს ჰქონდა ნაკითხული ჩემი ნაწარმოები. მაინც რამდენს? დარბაზის ერთ, სამ, თუნდაც ცხრა მეთოდს სემწონდა რაიმე მის შესახებ? მაგრამ ასეთი მათემატიკა ხომ აშკარად ირელევანტურია! ფაქტურად, იმასაც მივხვდი, ჩემი "გამბოტც" ასევე ირელევანტური რომ გახლდათ. მითელი იდგა სატრისისა, მხილებისა, 17 წლის წინ ასე სახალისოდ რომ მეჩვენებოდა, ახლა მომაშურებლად, უინტერესოდ დამესახა. ხომ არ აჯობებდა, წინასწარ გამეფრთხილებინა აუდიტორია, აქა და აქ გაიცინეთ და აქ



სანა სახალისოდ... მარამარამ

კი შენუბდით-მეთი?

ამის შემდეგ ბევრი ვიფიქრე და ასეთი დასკვნა გამოვიტანე: სულაც არა ღირს ორჯერ ნახვა ისეთი პიესისა, რომლის წარმატებაც მთლიანად დამოკიდებულია ინფორმაციის (ან შემთხვევით საიდუმლოს) დამალვაზე. ერთადერთი არა, რაც დრისყოფს მის ორჯერ ნახვას, არ უნდა იყოს მხოლოდ "თხრობა" იმ გაგებით, როგორც იტყვიან მაშინ ეჭმარობდი ამ სიტყვას. ეს კი უნდა მცოდნოდა დრამატურ გას.

ერთბოლ მქონდა ბედნიერები, თვალი მედევნებინა პროდუსიონალი მისრობელისათვის მუშაობის პროცესში (დახს, თვალი მედევნებინა, ვინაიდან ენა სპარსული გახლდათ) და ვნახე, რომ ამ "შოუშიც" აპირებდნენ იმ ამბის გადმოცემას, რომელიც მათ გარეშეც უწყობდა მაყურებელში (ჩვენსაც ხომ იგივე ხდება შექსპირის დადგმისას). მართლაც, არის რაღაც თვითშეზღუდვა კვანძის გახსნისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა სწორედ საბოლოო სცენა მთავარი და არა თავად თხრობის სტრუქტურა. კაცი ათჯერ გადაიკითხავს დეიშონ რანიონს და ათჯერვე სიაშოვნებით, მაგრამ განა ბევრს დაებადება ოქნერის თუნდაც ორჯერ ნაკითხვის სურვილი? ნახათ მეორედ "ხაფანს"? რაც შეეძება დეტექტივს, ე.წ. იდუმალ ნაარამოებს, მთელი გულით ვიზიარებ ედმუნდ ველსონის აზრს ამ ჟანრის შესახებ. "რაში მენადვლება, ვინ გაასალა ორჯერ ეკროიდი?" კითხულობს ეს დამიანი. ჩემს თეზის ასე ჩამოყალიბებდი, გაცილებით საინტერესო საყურებელი იქნება ამ ჟანრის პიესა, თუ დარბაზს წინასწარ გაავაცნობთ მკვლევს.

ვიცი, არაპროვიზიულობას დამანებთ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ სერიოზული ხელოვნება არის დარგი, რომელიც გარკვეულწილად გვიმაღლას ინფორმაციას. ისე კი, ამ საღიბო მორტალეს ლექსიკონის სიმწირე მბავდევნებს: ცნებათა რაოდენობა ისე ზოგადაცაა ამ ცნებათა გამომატველ სიტყვებს, რომ ზოგიერთი ამ უკანასკნელთაგანი (მათ შორის ჩემს მიერ პატივდებული "ინფორმაცია") სხვადასხვა მნიშვნელობებს წარმოაჩენს და რა გაგებითაც ეჭმარობ შე სიტყვა "ინფორმაციას", მას არაფერი ესაქმება თხრობის ელემენტებთან, უფრო თხრობის შესაძლო ვარიანტებზე მიუთითებს.

ენა პაუნდს თუ დავესესებთ, ხელოვნებას, რომელიც არ არის მიჯაჭვული მხოლოდ და მხოლოდ მიმდინარე მოვლენებზე, არ გააჩნია ცალსახა პასუხი კითხვაზე, "რას უნდა ნინაშადეს ეს?" ყოველ მონახრობს აქვს უნარი, შემოგვთავაზოს რაღაც სხვა, სიღრმისეული, იმის გარდა, რასაც უშუალოდ გამომატავს და ასეთი ეფექტური, ქმედითი ხელოვნება ზედმეტწინა ამბივალენტურია. ამბავი თითქმის უნდა იყოს მეტაფორა იმ იდეისა, რომელსაც სამალავიდან გამოვიტყუებთ და მაყურებლის ცნობიერებაზე დავიყვანთ. მაგრამ აქვე ისმის კითხვა: რა იდეისა? კვლავ გაგვიჭირდება ზუსტი პასუხის მიცენება. მაეს დრისში "ცეცხლის ნამკიდებლებში" ვიკლავ ჭკუიდან გადასულები შენობებს წავყენ. მოქმედება მიმდინარეობს ბურჟუაზიული ოჯახის ფონზე. ერთი შავნული პიროვნება იჭრება ამ ოჯახში მდგომარის ნიღბით და მას მალე მეორე საექვო სუბიექტიც უერთდება. ისინი სახლის ზედა სართულს იკავებენ, დრო და დრო საღიდავ ოთქკედლებიან და მათი ყოველი გასეირნება ქალაქში რომელიმე შენობის დანახშირებით გვირგვინდება. მაგრამ ოჯ-

ახს და, უზირველეს ყოვლისა ამ ოჯახის თავს, არ სურს უსიამოვნო დასკვნის გამოტანა, იმის შემდეგაც კი, რაც საკუთარი თვალთი იხილავს, როგორ იმარაგებენ სხვენში ეს შეპყრობილები ბენზინის კანისტრებს. ბოლოს საექვო მდგომარე ქვედა საართულზე ჩამოდის და ერთ კოლოვ ასანთს თიხებს. ოჯახის მამა ამაზე უარს არ ეუბნება და მათ გასამართლებლად ასეთ რამესაც კი აცხადებს: ესენი რომ ცეცხლის ნამკიდებლები იყვნენ, რა, საკუთარი ასანთის შოვნა გაუჭირდებოდათ?.. მალე მთელი მისი სახლი აღში ეცევა...

30-იან წლებში შიტლერის ზეობას ხომ არ უკავშირდება ეს მეტაფორა? ზოგი იმასაც მეუბნება, რა შიტლერი, ავტორი აქ აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტების მომძალავრებას გულისხმობსო. თქვე შეიძლება სხვა რამ დანახოთ და არ არის გამორიცხვული, ყველა ერთად რომ ცვდებოდეთ. კი ვამბობ, ინფორმაცია დაფორმულია-მეთი, მაგრამ იქნებ აქ არც არსებობს გადასაცემი ინ-



ფორმაცია? უკვე მოგახსენებ, რომ თხრობას აქვს ეს უნარი და მიტყობ, რომლებიც ხელოვნების წინასვლას ემსახურება (იმ პიესათა საპირისპიროდ, სხვა უამრავი ღირსება რომ ამკობთ), ზედმიწევნით უნდა ფლობდნენ ამ უნარს, რაც ყოველთვის ხორციელდებოდა ინფორმაციის შევადვის გზით, ამ სიტყვის სრული და უზირველესი მნიშვნელობით.

"მოთოვონ რისხვა", "გოდოს მოლოდინში", "დაბადების დღე". აი, ის სამი პიესა, რომად რომ აგავალდება ჩემი თათობის ახალგაზრდა დრამატურგები. ისინი ერთგვარ "ტრიოდ" აღიქმებოდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - ტრიოლოგია. სომერსეტ მოემი უპირველესი იყო ოსბორნის პიესით ("მოთოვ რისხვა"), უფრო სწორად, ერთერთი სტენური პერსონაჟით და თავისებურად შევაკო ერთდევ: თავანკარა ნაძირალაა მართალია, ოსბორნის დრამა ახალი სიტყვა აღმოჩნდა ხელოვნებაში, მაგრამ არ წარმოუტყვია რაიმე სიღრმისეული, აქ ყველაფერი აშკარა იყო, ხელის გულზე გადამოლილი. სულაც არ არის გასაოცარი პიესა, ძალიან რომ მოიწინა ტერენს რატინგმა (მან, სხვათა შორის, მეც აღმავლიოვანა). ერთი პირობა მსგავსის წერასაც შეუდევდი, მაგრამ მალევე ავიღე ხელი ამ განზრახვაზე. რა აზრი ჰქონდა? ეს ხომ უკვე ნათქვამი იყო! და თანაც, მე ვერ დავწერდი ასეთ რამეს (თუმცა, ეს უბრალო "ტექნიკური ფორმლობაა"). მთავარი კი ის გახლდათ, რომ მე გავიგე, ჩავნდი, რისი თქმა სურდა ოსბორნს და როგორ შეიძლებოდა ამ იდეის სცენაზე გაცოცხლება.



რედ ის დავგანახეს, რაც ასე დამატე-
ვევებელსა და ახლობელს ხდის შექს-
პირს და კიდევ ერთხელ შეგვახსენეს,
თუ როგორი უნდა იყოს პოეზია:
სიტყვა - შეკუმშული, აზრი - ყოვლის-
მომცველი.

ლექციის დავასრულებ მონოლოგი
ჯეიმს სონდერსის პიესიდან "სვა-
დროს გიმღერებ". საამისო მიზეზი წამ-
დილიდა მაქვს: ეს გახლავთ კორექცია
იმ კურსისა, რომელსაც თავად მივეუ-
ბოდი ვფიქრობ, რომ ტექსტის, თეო-
კმარი ტექსტის გარეშე ვერ იარსებებს
თეატრი, რომელთანაც ბედმა დამაკავ-
შირა. თეატრი მართლაც რომ ფიზიკუ-
რი მოვლენაა და იქ მხოლოდ სიტყვა

სულ სხვაა "გოდოს მოლოდინში" და "დაბადების
დღე". გამიძინელდა იმის დადგენა, თუ როგორ იყო "გა-
კეთებული" ეს ორი პიესა, უფრო მეტიც, ვერ გავიარკვიე,
თუ რა იყო გაკეთებული. იმას კი ვიტყვი, რომ ორივე
ერთდროულად საკმაოდ ამალელებელიც იყო და იდუმა-
ლებით მოცულიც, თანაც მათ აშკარად გააუქმეს მანამდე
სცენასა და დარბაზს შორის დადებული კონტრაქტი. გახ-
სოვთ ალბათ, იყო ასეთი უსიტყვო შეთანხმება - თუკი
თავს შეინუხებდი და სპექტაკლს დაესწარებოდი, იმ სპექ-
ტაკლს კეთილი უნდა ენება და გარკვეული ვალდებულე-
ბა ეკისრა, ვალდებულება იმ ინფორმაციის მინიმუმის გა-
ცემისა, საერთო აზრის შესაქმნელად რომ არის აუცილე-
ბელი. "გოდოს მოლოდინში" კი ერთიანად გადაახლისა
ეს მინიმუმი, სამარადისოდ თუ არა, დღევანდელ დღემ-
დე მაინც. "დაბადების დღეშიც", მართალია ცოტა სხვაგ-
ვარად, მაგრამ მაინც იგივე გააკეთა და მიუხედავად იმ-
ისა, რომ ორივე ავტორი "ასე სასტიკად მომექცა", მე მათ
მაინც ვენდობი და მშვენივრად ვიცი, რატომ იმიტომ,
რომ სიურეალიზმი, დადაიზმი და თითქმის ყველა ამდაგ-
ვარი მიმდინარეობა ჩემთვის ყოვლად მიუღებელი იყო
(და არის), თუმცა ზოგჯერ ძალუძდათ გულის გახალი-
სება, როგორც ლუდხანაში უფერად ატეხილ მუშტიკრივ-
სა და ჭურჭლის მსგერევას. ამ ორ პიესას კი არაფერი
ჰქონდა საერთო ადრინდლებთან. არ იყვნენ ირაციონა-
ლური, ორაზროვანი, არ ქმნიდნენ ყალბ ეფექტს თხრო-
ბის სტრუქტურის, ფიქრის პროცესისა თუ საგანთა შო-
რის კავშირის დარღვევის ხარჯზე ციურისა და პარიზ-
ში წამოწყებული ხელოვნების გადახალისების ადრეული
მოდერნისტული მცდელობანი ამათთან შედარებით ბავშ-
ვურ თამაზად მეჩვენება. ორივე პიესა სხვა გაკეთით შე-
იცავდა იდუმალებას. თხრობის სტრუქტურა იყო წმინდა
და დახვეწილი, ისეთი წმინდა, რომ ზოგჯერ ვერც კი
აღიქვამდი, წმინდა, როგორც ობობას ქსელი, როცა
ფიქრობთ, რომ იქ აღარ არის, განყნად, მაგრამ მცირედი
მომიარობა საკმარისია მის ხელახლა აღმოსაჩნად. მათ,
ცხადია, არაფერი აქვს შექსპირთან საერთო, მაგრამ სწო-

არა კმარა, სხვაგ ბევრია საჭირო, მაგრამ ეს "სხვაგ" არ-
აფერია უსიტყვოდ და ბერისა და სინათლის მართებუ-
ლი შეთანხმებისას სწორედ გარკვეულ სიტყვათა გარკვე-
ული რითა (ზშირად საკმაოდ იდუმალი), ასე ძალიან
რომ ხვდება მაყურებლის გულს.

სამა პიესამ ("მოთოვე რისხვა", "გოდოს მოლოდინ-
ში", "დაბადების დღე") მიზეზთა სხვათა და სხვათა გა-
მო გადამაღურებინა საკუთარს შექმნა. მოგვიანებით კი,
1962-სა თუ 63-ში ვნახე "სხვაგ დროს გიმღერებ" და წა-
მოვიხსენე - აი, ეს არის ახლა კი ვიცი, რა უნდა გავა-
კვიო. მართალია, მსგავსი არაფერი გამიკეთებია (ვერ
შევეცი), მაგრამ ცოტა ხომ ნავიცივნებ, ესეც დიდი რა-
მაე ამ ცხოვრებაში.

მაშ ასე, შეპირებული მონოლოგი ამ პიესიდან:

"გინდ დაიჯერე და გინდა არა, მაგრამ ყველაფერი არ-
სებულს მიღმა მიჩქამალულია მდგომარეობა, სევდა რომ
ჰქვია. მუდამ იქ არის, ზედაპირს ქვემოთ, ფასადის უკან,
ზოგჯერ იმდენად ახლოა შენთან, ფორმის დაღანდვაც
ხელგნჯიდა, როგორც დაღანდავ მზის სინათლევ აუზ-
ში კობრის ბრტყელ, მუქ სილუეტს, მუქ სილუეტს, ის სულ
იქ იყო, სადღაც სიღრმეში, ზედაპირის მიღმა, მაშინაც,
როცა ეფერებოდი, საქმელს უფერი დინჯ იხებდა და
გულზედაც გედებს, იქ იყო თვინი, თუნდ უშილაკი. ასე
იყო და ასე იქნება. როცა დაღანდავ წყლის სარკის მილ-
მა, არც კი შეიძინევ, ზურგს აქედევ ალბათ და შენს შეი-
ლებთან, შენს პატარებთან სიცილ-ხარხარითი იკოტრია-
ლებ მწვანე მდელიოზე. აი, ეს არის მდგომარეობა, სევდა
რომ ჰქვია!"

1999

მენდისკორიან თარგმანა სხამი ლპაიკვიძლა



შოპ სტოპარდი ინფორმაცია

<http://www.geocities.com/Broadway/9432/stoppard/index.html>
<http://www.imagi-nation.com/moonstruck/cisc46.html>
<http://www.levity.com/corduroy/stoppard.htm>
<http://www.edenpr.k12.mn.us/ephis/ArcadiaWeb/Stoppard/stoppard.html>
<http://www.ingo.com/topic/291/291699.html>
<http://www.geocities.com/Paris/Palais/8334/Stoppard/ts1.html>
<http://www.siue.edu/THEATER/productions/trav/trav.html>
<http://www.ilmagi-nation.com/moonstruck/cisc46p.html>
<http://www.mala.bc.ca/~johnsto/introsr/stopprod.htm>
<http://www.skidmore.edu/academics/theater/productions/arcadia/bio.html>
http://wilmatheater.org/press/1999_1019a.html
<http://novosti.online.ru/magazine/inostran/n2/stoppard.htm>

ნა ანთაპე

უნდა გადადგას თუ არა საქართველოს პრეზიდენტი

12 მარტს "ალიამ" გამოაქვეყნა 25 ქართველი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის პასუხი შეკითხვაზე - უნდა გადადგას თუ არა პრეზიდენტი?

ამ პუბლიკაციამ გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო ანალიტიკოსების ყურადღება, მაგრამ იგი საგანგებო, გამოწვევილივიანი განხილვას იმსახურებს.



დავიწყოთ სათაურით - "უნდა გადადგას პრეზიდენტი?"

იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი ოპოზიციური პარტია ბოლხანს ეწერგიულად მოითხოვს პრეზიდენტის გადადგომას, ეს საკითხი დღეს აქტუალური ნამდვილად არ არის. და არა იმის გამო, რომ პრეზიდენტს საქმე საათით აქვს აწყობილი. უბრალოდ, ერთთულ პოლიტიკაში (და მის მიღმაც), ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც სჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს შევარდნაქა ადგება და თავისი გადადგომის ამბავს გამოაცხადებს.

ყველა თვალნათლივ გხედავთ, რომ ეღუარდ შევარდნაქე არათუ გადადგომას არ აპირებს, არამედ - არ აპირებს თავის უფლებამოსილებათა თუნდაც ნაწილის დათმობას. გაეცხენოთ, უბრალოდ მტკივნეულად აღიქვა პრეზიდენტმა პარლამენტართა ხელმძინერები საკონსტიტუციო ცვლილებების მოთხოვნით. ეს ხელმძინერები მინდობდა, რომ პარლამენტის წევრთა (მათ შორის, უმრავლესობის) ნაწილს საჭიროდ მიაჩნდა, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მინისტრთა კაბინეტის შესახებ ემსჯედა. მინისტრთა კაბინეტის იდეა კი გულსიმომბს, რომ კონსტიტუციური უფლებამოსილებების ნაწილი პრეზიდენტს უნდა ჩამოერთვას და პრეზიდენტის ტრას გადაეცეს.

სახელმწიფო მონყობის ახალ სისტემაზე გადასვლას ეღუარდ შევარდნაქე, პრინციპში, არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ამგვარი ცვლილებების განხორციელებას შესაძლებლად მიიჩნებს მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ. ესე იგი, პრეზიდენტის უფლებამოსილებები შეიძლება შეიზღუდოს სწორედ მაშინ, როდესაც შევარდნაქეს საპრეზიდენტო ვადა ამოეწურება.

სხვათა შორის, დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, საკუთარ დარგში ფართო უფლებები აქვთ მინისტრებს. თუკი ინიციატივას გამოიჩენენ, მათ შეუძლიათ, დარგში პრეზიდენტის ტრას ეფინქეთა იტიერთონ. მაგრამ ეს, როგორც წესი, არ ხდება.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მინისტრები ამ უფლებამოსილებებს საკუთარი უწინარობის გამო არ იყენებენ და გადანყეტილებების მიღების პროცესისთვის პრეზიდენტს ნებაყოფლობით უთმობენ. მაგრამ გასულ წელს მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც ყველაზე მიამიტებსაც კი თვალს აუხილა. კერძოდ, ფინანსთა ახალმა მინისტრმა - ზურაბ ნოღაიდეგმა - კორუფციის მსხვერპლ ხერცილებს დაგმანვა დაუპირა და ამისათვის ბიუჯეტის მკვეთრად განახლებული კანონი შექმნა. ეს იყო მინისტრის პირადი ინიციატივა და პასუხისმგებლობა, რომელიც მკაცრად დაგმავს. პრეზიდენტმა რეფორმატორულ ბიუჯეტს სანაგვეზე მიუჩინა ადგილი და საჯაროდ გამოაცხადა: მთავრობამაც და პარლამენტმაც ამ ბიუჯეტის არსებობა დაივიწყოს. დაივიწყეს კიდეც...

ამ შემთხვევამ დაადასტურა, რომ მინისტრების პირადი ინიციატივას, კანონმდებლობისგან განსხვავებით, რეალობაში მთავრად შეზღუდული ჩარჩო აქვს. ეს ინიციატივები პარლამენტ უნდა ემთხვეოდეს პრეზიდენტის წარმომდგენებს ქვეყნის განვითარების ტემპებისა და კონკრეტული ნაბიჯების შესახებ.

ამ ვრცელი შესავლის შემდეგ, რომელიც შეგვახსენებს,

რომ პრეზიდენტი საკუთარ ძალაუფლებას ნებსით არავის უწაწილებს, "ალიას" გამოკითხვას დაეუბრუნდებით.



"უნდა გადადგას პრეზიდენტი?"

სხვათა შორის, იმის გარდა, რომ თავად შევარდნაქე მისხალს დათმობას არ აპირებს, არც ოპოზიცია იმდენად აქტიური, რომ ოდნავ მაინც სერიოზული მნიშვნელობა შექნდეს საკითხის დასმას შევარდნაქის შესაძლო გადადგომის შესახებ.

მაშ, რა უნდა იყოს მიზეზი, რომ გაზეთმა ამგვარი უპერსპექტიუო შეკითხვა დასვა იმასზე პასუხის გასაცემად 25 პატივსაცემი ადამიანი შეანჯახა?

ამაზე მსჯელობა ნამდვილად შეიძლება, განსაკუთრებით, პასუხების გათვალისწინებით.

პასუხები კი ამგვარად შეიძლება დაგავგუფოთ.

1. უნდა გადადგეს.
2. არ უნდა გადადგეს.
3. გააწინა.
4. ჯერ საკითხის დაყენებას აზრი არა აქვს.
5. პასუხს ვერ გავცემთ.



დავიწყოთ იმ არგუმენტების ჩამოთვლით, თუ რატომ უნდა გადადგას ეღუარდ შევარდნაქე.

1. ქვეყნის მართვის ბერკეტი პრეზიდენტს აღარ აქვს, - მამუკა გიორგაძე.
2. ხალხს არსებობის საშუალება აღარ გააწინა, - პანტელეიმონ გიორგაძე.
3. შევარდნაქე უცხო ქვეყნის ინტერესების გამოხატველია, - ზვიად ძიძიგური.
4. მოსუცია, დასვენის, - სანდრო ბრეგაძე.
5. შევარდნაქისა და ფვანის გადადგომით პოლიტიკურ საფრთხეს ავიცილებთ, - შალვა ნათელაშვილი.
6. შევარდნაქე თავს არიდებს პასუხისმგებლობას, - დიდი გუგუშაშვილი.
7. შევარდნაქე არავის აურჩევია, - მანანა არჩვაძე-გამასახურდი.



თუ ამ არგუმენტებს გადავხედვით, თითოეული მათგანი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საზოგადოებისთვის განკუთვნილი ერთგვარი შეტყობინება, "მესიჯი". ამ "მესიჯებთან" თითოეული, დიდი ხანია, მიზანმიმართულად მიმდინარეობს საქართველოს მოსახლეობას: რომ შევარდნაქე დაეუბრეს; რომ მართვა აღარ შეუძლია, რადგან კორუფციის მძველია; რომ ხალხი არ აინტერესებს; რომ იგი არ აურჩევიათ; რომ პასუხს არც სხვას სთხოვს და არც საკუთარ თავს; რომ უცხო ქვეყნას ემსახურება.

ეს "მესიჯები" საკმაოდ მოგებანაია შევარდნაქის

ოპონენტებისთვის, რადგან ბევრი მათგანი შეიცავს, სულ მცირე, სიმაართლის ნაწილს მაინც. თუ სამომავლოდ დავიმსხვავებთ, ზუსტად ეს არგუმენტები (ეს შეტყობინებები) კიდევ ბევრჯერ შეგვხვდება ყოველდღიურ პრესაში. მათი მიზანია, საზოგადოებას ჩამოუყალიბდეს მკაფიო, კონსპექტური წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა არის შევარდნაძის პრეზიდენტობის არსებითი ნაკლი.

თითოეულ ადამიანს, ვინც დღევანდელ საქართველოში ცხოვრობს, საკუთარი პრეტენზია აქვს პრეზიდენტის მიმართ. მაგრამ ამგვარი დანახიზია "შესიკები", რომლებიც ყოველდღიურად ხვდება ყურს და თავის ადგილს იკავებს ადამიანის ცნობიერებაში, წარმოადგენს მზა რეცეპტს და ინფორმაციულად უზრუნველყოფს შევარდნაძის ხელისუფლებისგან ჩამოცილებას.

○ ○ ○

გაცილებით საინტერესოა საპირისპირო არგუმენტები - თუ რატომ არ უნდა გადადგეს შევარდნაძე.

1. შეკითხვა აბსურდულია, - ნუგზარ ფოფხაძე, ვანო ზოდელავა.
2. შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნა ბავშვობაა, - დავით სალარიძე.
3. საქმე ცუდადაა, მაგრამ, შესაძლოა, პრეზიდენტმა გამოსავალი შემოგვთავაზოს, - აკაკი ასათიანი.
4. საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს, - ნიკო ლეკიშვილი, გიგი ნერეთელი, ედვარდ სურმანიძე, მედიკო მეგრულიშვილი.
5. ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის უნარი და საშუალება მხოლოდ შევარდნაძეს აქვს, - რუსუდან ბერიძე, ვანო ზოდელავა, კახა თარგამაძე.
6. შევარდნაძე თუ გადადგება, ქვეყანაში არეულობა და სისხლისღვრა დაიწყება, - კახა თარგამაძე, რეზო ჩხეიძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ელენე თევდორაძე, ფიქრია ჩხრამაძე, ვახტანგ ჩრეულიშვილი.

○ ○ ○

რა სცენარით შეიძლება განვითარდეს მოვლენები იმისათვის, რომ შევარდნაძის გადადგომის შემთხვევაში სისხლს დაიკარგოს და სამოქალაქო ომი გაიშალდეს?

კონსტიტუციის თანახმად, თუ პრეზიდენტს თავისი უფლებამოსილების განხორციელება აღარ შეუძლია (ალბათ, გადადგომა სწორედ ამ პუნქტს შეიძლება დაეფუძნოს), პრეზიდენტის მოვალეობას პარლამენტის თავმჯდომარე ასრულებს. 45 დღის შემდეგ კი ახალი საპრეზიდენტო არჩევნები ინიშნება.

შოდა, სისხლისღვრა შეიძლება დაიწყოს იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი გადადგება, მაგრამ საზოგადოების ნაწილი არ დაელოდება არჩევნებს, არ აღიარებს პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილებას და, სხვათა შორის, არსებითი დეტალიზაცია იარაღი - უკმაყოფილებასთან ერთად, საზოგადოების ეს ნაწილი შეიარაღებულიც უნდა აღმოჩნდეს.

ამ მხრივ, წინამდებოლია, რომ ზურაბ ფეხანია (მეტ-ნაკლებად) თანამოაზრეები - ნიკო ლეკიშვილი, გიგი ნერეთელი, ედვარდ სურმანიძე - სამოქალაქო ომის საფრთხეზე არ მდითათებენ. ისინი, უბრალოდ, ფიქრობენ, რომ შევარდნაძე დაწყებული საქმე თავად უნდა დასრულოს.

სამაგიეროდ, ფეხანია ოპონენტები - კახა თარგამაძე, რეზო ჩხეიძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ფიქრია ჩხრამაძე, ვახტანგ ჩრეულიშვილი - შევარდნაძის გადადგომის შემთხვევაში სამოქალაქო ომისა და სისხლისღვრის საფრთხეს ხედავენ.

საინტერესოა ისაა, რომ ყველაზე დაბეჯითებით მოსალოდნელ სისხლისღვრაზე კახა თარგამაძე - პოლიციის მინისტრი - საუბრობს: "თუ შევარდნაძე გადადგება, ქვეყანაში სისხლისღვრა მოხდება. ამას სრული პა-

სუსისმგებლობით ვაცხადებ... იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ შევარდნაძის გადადგომას მიმდებარე შედეგები მოაყვება, ქვეყანა ქაოსში აღმოჩნდება და არარსებობის საფრთხის ქვეშ დადგებიან." ამ ციტატაში ჩადებული კატეგორიულობის მიხედვით შეიძლება დავსკვნათ, რომ პოლიციის მინისტრმა ზუსტად იცის - ის დამინებია, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ იარაღზე, შევარდნაძის გადადგომის შემთხვევაში კონსტიტუციით გათვალისწინებულ სცენარს - ფეხანის დროებით გაპრეზიდენტებას - არ დაუსვენებ.

○ ○ ○

შეკითხვაზე, უნდა გადადგეს თუ არა პრეზიდენტი, საზოგადოებას ტრადიციული "შესიკები" გაუზავნა ვახტანგ გოგუაძეს: გააჩნია - თუ შევარდნაძე არ შეცვლის კურსს (იგულისხმება პროდასავლური კურსი), უნდა გადადგეს; ხოლო თუ რუსეთთან ურთიერთობას მოაკვარებს, არ უნდა გადადგეს.

ამ შეტყობინებაში ახალი არაფერია და მისი მიზანია, საზოგადოებას ისევ მზა რეცეპტის ფორმით მიანიშნოს აზრი შევარდნაძის მიერ არაეროვნული პოლიტიკის გატარების შესახებ.

○ ○ ○

თავისებური ინფორმაციის მოძიებელი ნოდარ ნათაძის პასუხი: "შევარდნაძე უნდა წავიდეს იმიტომ, რომ რუსეთის აგენტია და უფარვისი მმართველია. მაგრამ სანამ გუფილ არ იქნება მზად, ამ საკითხის დაყენებას აზრი არა აქვს".

მართალია, დაუკონკრეტებელია - თუ რომელ გუნდს გულისხმობს ნოდარ ნათაძე, მაგრამ აკრძალა, რომ მას პრეზიდენტის პოსტი დღეს არსებული გუნდისთვის არ ემტება. ნოდარ ნათაძე ამფლობინებს, პრეზიდენტმა კიდევ ერთხანს გააუარჯლოს თავისი "უფარვისი მმართველი", - მანამდე, ვიდრე რომელიმეც ინკოგნიტო გუფილ მზად არ აღმოჩნდება ხელისუფლების ხელში ასაღებად.

○ ○ ○

